# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 50 ხუთშაბათი, 5 მარტი 1909 წ. № 50

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე 10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ზალამცს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ღამე საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ქვრივი ეკატერინე დავითის ასული ბერძენიშვილისა შვილებითურთ ღრმა მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც პირადად თუ წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადა მას მისის ქმრის ყარამან ბიჭიას ძის ბერძენიშვილის გარდაცვალების გამო. (1—კ.ლ.—1)

ძმები სიმონ, გიორგი და თეოფილე დავითის ძენი ოთხმეზურები ღრმა მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც პირადად თუ წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადა მათ მათის დედის ასპირო გიორგის ასულის ოთხმეზურის გარდაცვალების გამო. (1—კალ.—1)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი მ. ვაზაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი —7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—71)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—72)

ექიმი მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. მ. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი, მიხეილის ქ., ს. ჭავჭანიძისა. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი. სპეციალური ექიმდება: ნაწლავებისა და კუჭის ავადმყოფობანი. დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. (25—ხალ.—24)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 109)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში მ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხაროვსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—110)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—23)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

რვა მარტს გამოვა სალიტერატურო და სამეცნიერო ალმანახი

„ყანა“

ნომერი შაურად ეღირება. (4—3)

იბეჭდება და მალე გასასყიდად მზად იქნება

„ქრისტინე“

დრამა 4 მოქმედებად და 5 სურათად ირეთელისა. (გადმოკეთებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან)

ამ წიგნის შემოსავლიდან 10% გადადებულია ნინოშვილის ფონდისთვის.

წიგნის გამოწერა ეხლავე შეიძლება, მხოლოდ ნაღდ ფულზე შემდეგის ადრესით; Тифлисъ Типографія т-ва „Шрома“, Русс. ул., N 3. Теофилу Ерастовичу Болквадзе. ვინც 100 და მეტს გამოიწერს, დაეკლება 25%. წიგნის ფასი 20 კ. (2—2)


## ტფილისი, 5 მარტი

ამ დღეებში პეტერბურგს დიდის ამბით იდღესასწაულეს ა. ს. სუვორინის 50 წლის სალიტერატურო იუბილეი. რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებისა და პრესსის ისტორიაში სუვორინის მნიშვნელობა და როლი საკმაოდ გამორკვეული და დაფასებულია: მთელი თავისი უტყუარი ნიჭი და დიდი ენერგია მან შესწირა არსებულ რეჟიმის სამსახურს და დღევანდელ „გამარჯვებულთა ბანაკს“ დიალაც საბუთი ჰქონდა—პატივი ეცა თავის მოამაგე მოღვაწისათვის. მაგრამ რუსის საზოგადოების ფართო წრეებმა, საუკეთესო რუსულმა პრესსამ, რუსის ახალგაზრდობამ, ერთის სიტყვით, მთელმა იმ ბანაკმა, რომელსაც სულს უხუთავს რუსეთის დღევანდელი ყოფა და რომელიც ხსნას მხოლოდ ძირითად განახლებაში ჰხედავს, ამ რუსეთმა ყური მოიყრუა ან, თუ ცოტად ხმა ამოიღო, მწუხარებით მოიხსენია მთელი ის ნახევარი საუკუნე, რომლის განმავლობაშიაც სუვორინი მეთაურობდა რუსის საზოგადოების ერთ ნაწილს...

ჩვენ, არა-რუსთ, არ შეგვიძლიან აგრეთვე ორიოდე სიტყვით არ გამოვთქვათ ის მწარე გრძნობა, რომელსაც გვიღვიძებს ამ მოღვაწის დღესასწაული... ამას წინად, ბიუჯეტის გამო კამათის დროს, როდიჩევმა სთქვა სათათბიროში—არსად ისე დამცირებული, აბუჩად აგდებული, მიწასთან გასწორებული არ არის უცხო ერი „გაბატონებულ“ ერისაგან, როგორც რუსეთშიო; ევროპის არც ერთ ხალხს არ შეუქმნია განსაკუთრებული ტერმინი ამ ერებისათვისათვის, „დამონავებულ“ ერებისათვის, მხოლოდ რუსეთმა მოიგონა სიტყვა „ინოროდეცი“ და მთელის თავისის შოვინისტურის შხამით გაჟღენთა ეს სიტყვაო. როდიჩევის ამ სიტყვებს განმარტება არა სჭირია: ჩვენ კარგად ვიცით და მუდამ დღე ვგრძნობთ, რა არის, რას ნიშნავს ეს „განსაკუთრებული ტერმინი“. „ინოროდცები“ კანონის გარეშე მდგარი პარიები არიან, რომელთა არსებობას დედამიწის ზურგზე „რუსის ხალხის განუზომელი მოთმინება და სლავიანთა ჩვეულებრივი სულგრძელობა“ თუ ითმენსო. ყოველ უბედურებაში, თუ რამე შეემთხვა რუსეთს, ეს „ინოროდცები“ არიან დამნაშავენი: პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი, სახელმწიფოს დასუსტება, იაპონიასთან ომის წაგება—სულ ყველაფერი, „ინოროდცების“ მეოხებით მოსდის რუსეთს და ამიტომ ჰკა მაგათაო. ჰქადაგებენ მუდამ დღე შურისძიებას, ზიზღსა და მძულვარებას არა რუსთა მიმართ და შეუგნებელ რუსის მასსში ითესება კაცთ მოძულეობის საშინელი თესლი.

აი დღესაც, გახშირდა თუ არა ტფილისში მკვლელობა და ცარცვაგლეჯა, უმალვე გაისმა ამ კაცთმოძულეთა შავბნელი საზარელი ხმა—„ინოროდცები“ რუსებისა და რუსეთის სიძულვილით სჩადიან ამაებსაო. „ინოროდცებისადმი“ მტრობა და ზიზღი ამ ჟამად მაინც უმწვერვალეს წერტილამდე ავიდა და, ვინ იცის; რა ცუდ დღეებს გვიქადის კიდევ რუსეთის ახლო მომავლის ისტორია? დიდად და დიდათ გაუჰირდა რუსეთს ძველ დახავსებულ რეჟიმისაგან თავის ხსნა და ახალ ცხოვრების დაწყება, დიდად გაჭიანურდა კრიზისი და ამ ცუდ გარდამავალ ხანაში უფრო და უფრო ისრისება ის უბედური ნაწილი, რომელსაც რუსულმა შოვინიზმა „ინოროდცების“ სახელი უწოდა...

დღევანდელს იუბილიარს, სუვორინს, და მის გაზეთს „ნოვოე ვრემია“-ს ხელმძღვანელი როლი ეკუთნით სწორედ ამ შავბნელ ისტორიაში. ეს 30 წელიწადია იგი დაულალავად ჰქადაგებს „ინოროდცების“ წინააღმდეგ, რყვნის რუსის საზოგადოებას, ავრცელებს კაცთ-მოძულეობის საშინელ იდეებს. სწორედ სუვორინის შექმნილი უნდა იყოს სიტყვა „ინოროდეც“-ის ის განსაკუთრებული მნიშვნელობა და შინაარსი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. „ჟიდ“, „პოლიაკ“, „გრუზინ“, „არმიანინ“ და სხვა და სხვა—აი ვინ დაღუპა რუსეთი, აი ვინ დააუძლურა გმირი სლავიანური ერი, ვინ ჩააგდო გაუვალ კრიზისში დიდი სახელმწიფო, მუდამ დღე იმეორებს სუვორინის ორგანო. ამ დაჟინებულის ქადაგებით მოწამლეს ჰაერი და შექმნეს ის აუტანელი ატმოსფერა, რომელიც გვარტყია ჩვენ, ყველა არა-რუსთ...

ამ „ღვაწლს“ სუვორინისას არ დაივიწყებს ისტორია და როცა საბოლოოდ გაიფანტება შავი ღრუბლები, როცა მრავალ-ტანჯული რუსის ხალხი თავისუფლად ამოისუნთქებს საუკუნეთაგან ნაანდერძევ ბორკილების დამსხვრევის შემდეგ, სუვორინების განკითხვის დღეც დადგება. მაგრამ მანამდის „გამარჯვებულთა ბანაკი“ თავისას განაგრძობს და კაცთ მოძულეობის მთესველთა ანდერძს მხნედ ასრულებს. ყოველ დღეს უარესი და უარესი ამბავი მოაქვს ჩვენთვის და აღშფოთებული სული ველარ ჰხედავს, როდისღა მოეღება ბოლო დამცირებას, ტანჯვასა და ვაებას?!.


იაგორ და დესპინე, პარმენ, ყარამან, კოწია, ტრიფონ, ალექსანდრე და ფედოსია კოპალეიშვილები, მარიამ კოპალეიშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველნი—შვილის მეორენი და მესამე—ძმის და მეოთხე—მაზლის

რაჟდენ (სამსონ) კოპალეიშვილისას.

გამოსვენების დღე დანიშნულია შვიდი მარტი სოფ. ეწერში საკუთარ სახლიდან, 2 საათზედ.

ივ. ზ. ტერ-სტეფანოვის უფლებიანმა

სავაჭრო სკოლამ (თუმანოვის ქ., ს., № 13) 20 თებერვალს მიიღო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისაგან ნებართვა ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლებისა. (1—ნ.—1)

ხუთშაბათს, 5 მარტს, საღამოს 7 საათზე ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლის შენობაში (თუმანოვის ქ., № 13) მოხდება

სააკომერციო განათლების გამავრცელებელ საზოგადოების სხდომა

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. ლექციების მოწყობა ქალაქის მეურნეობის ანგარიშების წარმოების შესახებ, ორკეც ბუხჰალტერიით.

2. დავთრები საკომისიო საქმეებისა.

3. საოჯახო ხარჯის ანგარიშის წარმოება ამერიკულ სისტემით. (1—6.—1)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

კალამქაროვი—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგ., ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 1—2 ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—16)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 5 მარტს, 1909 წ.

გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე:

„ვაჟა-ფშაველა“

შინაარსი ლექციისა: ვაჟას მუზა: კლდის ქალი ბუნების ძილში გაღვიძებული.—ამ მუზით მწყემსი ქალი, რომელიც ბძამლელის წინდებსა ჰქსოვს.—ვაჟას მხატვრული ქსოვილი.—ბუნების მრავალ ფეროვანი ძაფნი ვაჟას მიერ ნაქსოვნი.—ბუნების მხატვრული აზსახვა და სიმბოლიზმი.—პოემა «ეთერი».—თანამედროვე ლიტერატურა და ვაჟა.—პარალელები: ა) კნუტ ჰამსუნი და ვაჟა (ამ ორთა მისტიურ პანტეიზმის სხვა და სხვაობა); ბ) უაილდი და ვაჟა (ამ ორთა სიმბოლიზმის სხვა და სხვაობა); გ) აკაკი და ვაჟა (ამ ორთა „ხალხურობის“ სხვა და სხვაობა).—პოემა „ბვილის მჭამელი“.—ღრმა იდეა ამ პოემისა, ხალხის გენიის ნააზრები.—საშხატვრო ძალა ვაჟასი.—ვაჟას მნიშვნელობა თანამედროვე პოეზიისათვის.

ადგილების ფასები დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი ლექცია, შაბათს, 7 მარტს:

„ჰენრიკო იბსენი“ (3—3)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ნ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—4)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

ბიუჯეტი.

2 მარტს სხდომაზე სათათბირომ შეუდგა იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ეს სხდომა ბევრად უფრო საინტერესო იყო, ვიდრე სამი წინა სხდომა. იუსტიციის მინისტრმა ცნობილმა შჩეგლოვიტოვმა თავის სიტყვაში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მთავრობა არაფრად აგდებს სათათბიროს.

პირველად მომხსენებელმა ვოეიკოვმა წაიკითხა საბიუჯეტო კომისიის აზრი. კომისიამ ვერაფერი საჭირო დაავალებინა ამ სამინისტროსათვის და მხოლოდ უმნიშვნელო სურვილები გამოსთქვა, მაგალითად—კარგი იქნება სენატისა და სახელმწიფო სტამბები შეერთდესო, სასამართლოებს შეძლება მიეცეთ ფოტოგრაფიული ექსპერტიზები მოახდინონო და სხვა ასეთი წვრილმანები.

პირველად ილაპარაკა იუსტიციის მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა. მან, რასაკვირველია, შეაქო რუსეთის კანონები და სხვათა შორის სთქვა 1864 წლის წესდება სამკაულითო ხელოვნურ ნაწარმოებითაო. მაგრამ ამავე დროს თითონვე საჭიროდა სცნო ადგილობრივ სასამართლოს რეორგანიზაცია.

გეგეჭკორიმ სთქვა: თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განწყობილებაში სასამართლო კლასობრივ ბატონობის დაწესებულებაა. სასამართლოს დიდი საზოგადოებრივი საქმე აქვს დაკისრებული, მაგრამ ამისთვის იგი კარგად უნდა იყოს მოწყობილი. ისეთ სახელმწიფოში-კი, როგორც რუსეთია, სადაც მტარვალური ანარქიაა გამეფებული, სადაც საშინელი ძალმომრეობაა და ვახმისტრების ბრძანებლობა, სადაც „პოგრომშჩიკებს“ ზრდიან, სადაც მთავრობის მთელი ძალა და ღონე ხმარდება ხალხთან და მის სამართლიან მოთხოვნილებასთან ბრძოლას,—ასეთ სახელმწიფოში, ვამბობ, სასამართლო უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც მცხოვრებთა საუკეთესო, შემოქმედებით ძალების დამონების იარაღად (სიცილი მარჯვნივ). ორატორმა თავის სიტყვების დასამტკიცებლად მოიყვანა ბოლო დროის ცნობილი პოგრომები და განაცხადა, ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატები ხარჯთ-აღრიცხვას ხმას ვერ მისცემენო.

ლიიხნიცკიმ წაიკითხა ტრუდოვიკების ფორმულა, ფორმულის ძირითადი აზრები; ამ ბოლო დროს რუსეთში სრული უძლურებაა; სასამართლოები ამართლებენ ან მცირე სასჯელს სდებენ „პოგრომის“ მომწყობებს და იმ დიდ მოხელეებს, რომელნიც ხალხის ფულსა ჰფლანგავენ და ამავე დროს უწყალოდ სჯიან იმ გლეხებსა და მუშებს, რომელნიც თავიანთ კანონიერ უფლებებს იცავენ ძალმომრეობისაგან; იუსტიციის მინისტრი ურიგდება სამხედროსაველე სასამართლოების არსებობას, ეს სასამართლოები კი ამცირებენ თითონ იუსტიციის მინისტრის მნიშვნელობას; მართლ-მსაჯულების აღდგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გაუქმდება სამხედროსაველე სასამართლოები, თუ პოლიტიკური და ლიტერატურული საქმეები ნაფიცმსაჯულთა სასამართლოებს გადაეცემათ, თუ მოსამართლენი დამოუკიდებელნი იქნებიან და თუ სასამართლოებში სხდომები საჯარო იქნება; მთავრობა სისტემატიურად არ ასრულებს სათათბიროს სურვილს, არ აასრულა იუსტიციის სამინისტროს შესახებ შარშან გამოთქმული სურვილიც.

აჯემოვი (კადეტი). უკანასკნელმა ამბებმა ისა ჰქმნეს, რომ ძალზე გააფართოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებანი და ძალზე შეზღუდეს იუსტიციის სამინისტროს უფლებანი. შინაგან საქმეთა სამინისტრო მართლ-მსაჯულების ტაძარში შეიჭრა და იგი თავის გავლენას დაუმორჩილა. ორატორი შეეხო სასამართლოთა წესდების ახალ-ახალ დამატებებს და სთქვა, ამ დამატებებმა ძირი გამოუთხარეს 1864 წლის წესდებას და რაც რამ კარგი იყო იქ, ნელ-ნელა გამოაცალესო (ტაში).

ჩერნოსვიტოვმა წაიკითხა კადეტების ფორმულა, რომლის ძირითადი საფუძვლებიც შემდეგია: შარშან სათათბირომ გამოსთქვა სურვილი—აღდგენილ იქმნას დამოუკიდებლობა მოსამართლეებისა, მთავრობამ არ შეასრულა ეს, პირიქით, იგი წინანდელ პოლიტიკას აწარმოებს და მოსამართლეებს მოქმედების თავისუფლებას არ აძლევს; მთავრობა ფეხ-ქვეშ სთელავს უფლებასა და სამართლიანობას, ასეთ პირობებში კი წესიერი სასამართლოები წარმოუდგენელია; საჭიროა წესდების გაწმენდა ანორმალურ პრინციპებისაგან.

კომსინმა რამდენიმე მაგალითი მოიყვანა იმისა, თუ გუბერნატორები როგორ ერევიან სასამართლოს საქმეებში. ვინ იცის, როდის დადგება ისეთი დრო, როდესაც გუბერნატორებს პირში ეტყვიან: „ხელები იქით, ეს თქვენი საქმე არ არის“!

დიმშა შეეხო პოლონეთის სასამართლოებს და აღნიშნა, რომ პოლონეთში მთავრობა ცუდ მოსამართლეებსა ჰგზავნის, ამასთან პოლონელებს გზას უხშობს და სასამართლოებში ადგილს არ აძლევსო.

იუსტიციის მინისტრმა პასუხი გასცა ოპოზიციის ორატორებს და, სხვათა შორის, სთქვა, რომ ორატორებმა დაასახელეს კერძო მოსამართლენი, რომელნიც სამინისტრომ დაითხოვა ან დასაჯა. ამაზე პასუხს არ გავცემ ჩემ მოწინააღმდეგეებს, რადგან ასეთ საქმეში მე პასუხის-მგებელი ვარ ხელმწიფე იმპერატორის და არა სათათბიროს წინაშე (ხმები მარცხნივ: „ეგ ახალი საქმეა“; მარჯვნივ—„მართალია“ ტაში მარჯვნივ). შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეებისა არ გვეშინიან. საშიში მაშინ არის მოწინააღმდეგე, როცა იგი კარგადაა შეიარაღებულიო. დიმშას საპასუხოდ პოლონეთის შესახებ მინისტრმა სთქვა, პოლონეთში პოლონელ მოსამართლეებს ვერ დავნიშნავთ, რადგან ისინი თავიანთ სეპარატისტულ მიმართულებას აქაც შეიტანენ (ხმები მარჯვნივ—„ჭეშმარიტებაა“). პოლონეთს ისეთ რამეს ვერ მივცემთ, რასაც შეუძლიან გაწყვიტოს კავშირი პოლონეთსა და რუსეთის იმპერიის დანარჩენ გუბერნიებს შორისაო (ცხარე ტაში მარჯვნივ).

მეორე დღეს, 3 მარტს, სათათბირომ კვლავ განაგრძო იუსტიციის მინისტრის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

ოქტომბრისტმა შუბინსკიმ სთქვა, სასამართლოს არავითარი განსაცდელი არ მოელის, ყველაფერი მშვენივრად და კარგად მიდის; მემარცხენეებს არ მოსწონთ სასამართლო და თავიანთ აზრს უმთავრესად პოლიტიკურ პროცესებზე ამყარებენო. დასასრულ ორატორმა სთქვა, წინააღმდეგი ვარ დიმშას სურვილისა, რომ პოლონეთში პოლონელები დაინიშნენ და პოლონური სასამართლო იყოსო. რუსის სასამართლოც კარგად გაუძლევს პოლონეთში ს ქმესაო.

მემარჯვენემ ზამისლოვსკიმ მემარცხენეებს დაუწყო ლანძღვა—სასამართლოს ემდურებიან, უნდათ ნდობა დაუკარგონ და ამით რევოლიუციას გზა გაუხსნანო. დიმშას წინადადებისა, რასაკვირველია, დიდი წინააღმდეგი იყო. პოლონეთის სამეფო ხომ არ არსებობს, რომ საკუთარი სასამართლო მივცეთ. ეს სამეფო იყო და გაჰქრაო.

სათათბირომ უარ-ჰყო ტრუდოვიკებისა და კადეტების ფორმულები და მიიღო საბიუჯეტო კომისიის ფორმულა. შემდეგ სათათბირომ განიხილა დეპუტატ დიმშას დამატება.

გეგეჭკორიმ სთქვა: სოციალ-დემოკრატები მხარს ვერ დაუჭერენ დეპ. დიმშას დამატებას, რადგან ეს დამატება ზღუდავს საკითხს და იცავს მარტო პოლონელების ინტერესებს, მაშინ, როდესაც პოლონეთში სხვა ეროვნების ხალხიც სცხოვრობს. სოციალ-დემოკრატები თავიანთ თავს პოლონეთის პროლეტარიატის და მშრომელ მასსის წარმომადგენლად სთვლიან და ამიტომ, პოლონურ კოლოსავით, მხარს ვერ დაუჭერენ მთავრობას.

სათათბირომ 149 ხმით 119 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყო დიმშას დამატება. წინადადების წინააღმდეგნი იყვნენ ზომიერი მემარჯვენენი, სოციალ-დემოკრატები და ტრუდოვიკები.

აქამდე თავმჯდომარეობდა ვოლკონსკი. ამის შემდეგ თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა ხომიაკოვმა, რომელმაც ბოდიში მოიხადა მარკოვის წინაშე.

ხომიაკოვი. ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა ვთქვა, სანამ შემდეგი საკითხის გარჩევას შევუდგებოდეთ. ნაკაზის თანახმად არავის არა აქვს უფლება კრიტიკა გაუკეთოს თავმჯდომარის მოქმედებას, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ თავმჯდომარე თითონა სცნობს თავის მოქმედებას შეუფერებლად, მაშინ მას სრული უფლება აქვს ითხოვოს, რომ სათათბირომ მოისმინოს მისი განმარტება. ერთ-ერთ ბოლონდელ სხდომის დროს გავაჩერე რა სათათბიროს წევრი მარკოვი მე-2, მე ვთქვი: „აქ არის წევრი სახელმწიფო სათათბიროსი“. ჩემ მოვალეობად ვთვლი გამოვუცხადო სათათბიროს, რომ ჩემის აზრით, ეს სიტყვა მე

შეცდომითა ვსთქვი ამიტომ ბოდიშს ვიხდი სათათბიროს წინაშეც და მის წევრის წინაშეც, მით უმეტეს, რომ ის სიტყვა ჩემი მხრივაც ვსთ[illegible]კი და თავად ვოლკონსკის სახელითაც, თუმცა მას არ მოუცია ჩემთვის მაგის უფლება (ტაში ცენტრში და მარჯვნივ).

შემდეგ სათათბირომ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა სატუსაღოების უწყებისა.

მემარცხენე ორატორებმა დაასურათეს დღევანდელი ვითარება სატუსაღოებისა და ის ტანჯვა-წამება, რომელსაც ტუსაღები განიცდიან; მემარჯვენეებმა, საზოგადოდ, სასჯელის გაძლიერება და სატუსაღოების გამრავლება ითხოვეს.

ეს ხარჯთ-აღრიცხვაც მიიღეს და ბოლოს განიხილეს არა-პირდაპირ გადასახადი და არყის სახაზინო ვაჭრობის მთავარ გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვა. ორატორებმა უმთავრესი ყურადღება არყის სახაზინო ვაჭრობას მია[illegible]იეს. ამ დღეს მხოლოდ ორიოდე ორატორმა წარმოსთქვა სიტყვა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** რადგან სპარსეთში ბოლო არ ელება ხალხის მღელვარებას, შაჰი იძულებულია დასამშვიდებლად ზომები მიიღოს. პრინც ნაიბუს-სალტანეს თავმჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. პრინცი ნაიბუს-სალტანე ამ უკანასკნელ დროს შუამდგომლობას ეწევა. გარეშე საქმეთა მინისტრმა წინადადება შეიტანა, მოიწვიონ ხალხის ნდობით აღჭურვილი პირები კონსტიტუციის საფუძველია შესამუშავებლად და ხალხის დასამშვიდებელ ზომების გამოსანახავად. თუმცა ზოგიერთი კარის-კაცი წინააღმდეგი იყო, მაგრამ შაჰიმ, რუსეთის მისიის მეგობრულ რჩევის გავლენით, მაინც მიიღო ეს წინადადება. კრება ამ დღეებში შეუდგება მუშაობას. 2 მარტს შაჰი თითქმის ორს საათს ელაპარაკა რუსეთის რწმუნებულს.

## ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი.

**ვენა.** ბირჟაზე ძალიან იმოქმედა იმ ხმებმა, რომ ავსტრია ულტიმატუმს უგზავნის სერბიასო. „მონტაკს-ცეიტუნგ“-ში წერილია დაბეჭდილი რუსეთის წინააღმდეგ. გაზეთი სწერს, თუ ავსტრო-ჰუნგრეთი სერბიას დაეცა, რუსეთი ომის წინაშე არ შეჩერდებაო. გაზეთის სიტყვით, ავსტრიის ხელმძღვანელ წრეებში იმ აზრისა არიან, რომ თუ სერბიის პასუხი დამაკმაყოფილებელი არ იქნება, ავსტრო-ჰუნგრეთმა სერიოზულ საშუალებებს უნდა მიმართოსო. რამ წამს სერბიის პასუხი მოვიდა, იმ წამსვე ბირჟას შფოთი შეუდგა. ორიოდე გაზეთის გარდა, ყველანი ცხარედ სწერენ. ურჩევენ მთავრობას, სერიოზულ ზომებს მიმართოს და მოითხოვოს, სერბიას იარაღი აეყაროს.

**ბუდაპეშტი.** „კორესპ.-ბიურო“ სწერს: სერბიის ნოტა არ გვაკმაყოფილებს. ეს ნოტა ამტკიცებს, რომ სერბიას ერთად-ერთი აზრი აქვს—უფრო აწეწ-დაწეწოს საქმეო.

**ბერლინი.** ბერლინის ბირჟაც შეშფოთებულია. ფიქრობენ, შეიძლება ბოლოს ავსტრიამ მოთმინება დაჰკარგოსო და ამიტომ ბირჟა ყურმახვილად არის. გაზეთებიც ამბობენ, საქმე ძალიან გართულდა და ომია მოსალოდნელიო. ცხარედ სწერს სერბიის წინააღმდეგ გაზეთი „ლოკალ-ანცეიგერი“, რომელიც ამბობს, სერბია მასხარად იგდებს ავსტრიასაო. გაზეთის აზრით, ავსტრიას ერთი გზაღა-დარჩენია—შესწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა სერბიასთან, რომელსაც, აშკარაა, ომის გამოწვევა უნდაო.

**ვენა.** „ნეიეს-ვინერ-ტაგებლატი“-ს თანამშრომელს სერბიის ვენელ ელჩთან ულაპარაკნია. ელჩს უთქვამს: ჩემის აზრით, საქმე ომამდე არ მივა; სერბიის მთავრობამ იცის, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის ხელმძღვანელ წრეებში წინააღმდეგნი არიან ომისა, ამიტომ სერბია ეცდება მშვიდობიანად მოარიგოს საქმეო.

**ბელგრადი.** სერბიის მინისტრ-პრეზიდენტი ნოვაკოვიჩი 2 მარტს ავსტრიის ელჩთან გრაფ ფორგახთან იყო და დიდხანს ესაუბრა. ლაპარაკი იყო სერბიის საპასუხო ნოტაზე.

„პრეს-ბიურო“ სწერს: სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრმა დაავალა სერბიის სტამბოლელ ელჩს, აცნობოს ოსმალეთის მთავრობას, რომ ყოველ სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომ სერბია ნოვობაზარის სანჯაყის დაჭერას აპირობდე[illegible].

**ვენა.** „ფრემდებლატი“ ამბობს: სერბია იმედებს არ ამართლებს. სერბიის მთავრობას არა სურს, როგორც ავსტრიას, გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება ავსტრიასთან. იმისი ნოტა ორ აზრიანია. ამ ორ აზრიანობის მიზანი გასაგებია, სერბიას უნდა დრო მოიგოს, მანამდის კი სახელმწიფოების ზურგს ეფარებაო.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სხვა და სხვა ფრაქციების დეპუტატები ხელს აწერენ მაკლაკოვის მიერ შედგენილ მოწოდებას. მოწოდება გაეგზავნება მთელი ქვეყნის პარლამენტებს. მოწოდებაში ნათქვამია, სათათბიროს წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, რომ თავიდან აიშორონ უბედურება, რომელიც მთელ ქვეყანას უქადის. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ავსტრიამ სხვის დაუკითხავად ორი პროვინცია შეიერთა და ეხლა სერბიას ემუქრებაო. სერბიის ინტერესები რუსეთისთვის უფრო ახლოა, მაგრამ ევროპის სხვა ხალხებს ნუ დაავიწყდებათ, რომ ავსტრია მარტო სერბიას არ უქადის, არამედ ყველას. ავსტრიის გამარჯვების შემდეგ აუცილებელია საყოველთაო ომი ამ ომის შედეგი საშინელი იქნება, ამიტომ ყველა ერის წარმომადგენელნი ვალდებულნი არიან, ავსტრია შეაჩერონო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში ახალ ჯარის-კაცთა გაწვევის შესახებ კამათის დროს მინისტრმა ბინერტმა განაცხადა: სერბიის პასუხმა ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. ჩვენ გულწრფელად გვსურდა, სერბიას ნათელი პასუხი მოეცა, მაგრამ სერბიამ ორ აზროვანი პასუხი მოგვცა. ასე თუ ისე, სანამ სერბია დაკმაყოფილებულ პასუხს არ მოგვცემს და არ გამოირკვევა მისი ნამდვილი სურვილი, ჩვენ არ შეგვიძლიან სერბიასთან ეკონომიურ ხელშეკრულობის დადებაო. ბოლოს მინისტრმა განაცხადა: საჭიროა დიდი ჯარი გვყავდესო და ითხოვა, ახალ ჯარის კაცების შესახებ კანონ-პროექტი მალე იქნას განხილულიო.

**ბერლინი.** „ფოსიშე ცაიტუნგს“ პრაგიდან ატყობინებენ: მთავრობამ საფოსტო დაწესებულებებს უბრძანა, ღამე განუწყვეტელი მორიგეობა დააწესეთო. რედაქციებს აეკრძალათ, ჯარის გადაყვანის შესახებ რაიმე ცნობები ბეჭდონ.

„ფოსიშე - ცაიტუნგი“ ძალიან აღელვებულია სერბიის მოქმედებით. ყველგან სერბიის პასუხზე ლაპარაკობენო, მცხოვრებნი დარწმუნებულნი არიან, რომ ომი აუცილებელიაო,

**ვენა.** პრესსა აღელვებულია, თხოულობს საქმის ვითარების გამორკვევას. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ ამით იმუქრება, თუ სერბია შეიარაღებაზე ხელს არ აიღებს და ბოსნია-ჰერცოგოვინას მდგომარეობას გამორკვეულად არ აღიარებს. „ცეიტი“ თხოულობს, რომ გამორკვეულ იქმნას ოთხი სახელმწიფოს მოქმედება, რომელნიც სერბიას ემხრობიანო. ჰუნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტმა ვეკერლემ გაზეთების თანამშრომლებს განუცხადა, რომ მდგომარეობა სერიოზულიაო, მხოლოდ უიმედო კი არაო. გაზეთები სწერენ, რომ ავსტრია ამ კვირია კიდევ მოსთხოვს სერბიას ნათელ და გადაწყვეტილ პასუხსაო.

„კორესპონდენტ ბიუროს“ სალონიკიდან ატყობინებენ: მღვდელ ნიკოლის სახლში, ბელოკამენში, იპოვნეს 40 ყუმბარა და სხვა და სხვა ასაფეთქებელი მასალაო.

სერბიამ ბრიუსელში 930 ფუთი თოფის წამალი შეუკვეთა. სერბიის მთავრობამ თვითონ ითავა მიიღოს ოსმალეთის მთავრობისაგან ნებართვა ამ წამლის სალონიკით გადატანის შესახებ.

**კელნი.** „კელნიშე ცაიტუნგს“ ბერლინიდან ატყობინებენ: გადამეტებული არ იქნება ვთქვათ, რომ სერბიისაგან ასეთ პასუხს არავინ მოელოდა. სერბიის პირადი განცხადებანი საბაბს იძლეოდა, რომ პასუხი უფრო გარკვეული იქნებოდა. სერბია უფრო და უფრო იარაღდება და ეს უფრო მეტ შიშს იწვევს.

**მაინის ფრანკფურტი.** „ფრანკფურტ-ცაიტუნგ ში“ დაბეჭდილია პარიზელ კორესპონდენტის შემდეგი დეპეშა: ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობამ გერმანიის შუამავლობით ყველა სახელმწიფოს შეატყობინა, რომ იგი ახლო აღმოსავლეთის შესახებ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს, თუ შემდეგი პირობები იქმნება დაცული: აღიარებული იქმნება ბოლგარეთის დამოუკიდებლობა, ბერლინის ტრაქტატის მე-29 სტატია და ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმება, რომელიც ჩერნოგორიას ეხება. ამასთან ავსტრია არა სთანხმდება, რომ კონფერენცია შეეხოს დუნა-ანდრიატიკის და ნიშ-სალონიკის გზების გამოსყიდვას და საერთაშორისო დუნაის კომისიაში სერბიის დელეგატების დამიშვნას. ამ განცხადებამ პარიზის დიპლომატიურ წრეებში ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**პეტერბურგი.** რიფაატ-ფაშის პეტერბურგში ყოფნის დროს რუსეთმა და ოსმალეთმა ბოლგარიის შესახე ოქმი შეადგინეს, რომლის შინაარსიც ორივე სახელმწიფოს მთავრობები განიხილავენ და შემდეგ თუ შესაძლებელი იქნება, დაამტკიცებენ. განაჩენით ოსმალეთის მთავრობა იმ 125 მილიონ ფრანკს, რომელსაც იგი ბოლგარიას სთხოვს, რუსეთისაგან მიიღებს, სახელდობრ იმ სამხედრო კონტრიბუციიდან, რომელიც ოსმალეთსა მართებს რუსეთისა. ოსმალეთს უფლება აქვს მთელი დარჩენილი კონტრიბუცია, 125 მილიონ ფრანკის გარდა, კაპიტალიზაციის საშუალებით ერთ დროულად გადიხადოს. თავის მხრივ ოსმალეთი, მიიღებს თუ არა 125 მილიონ ფრანკს და გადასწყდება თუ არა ბოლგარიასთან სხვა სადავო საკითხები, მოვალეა აღიაროს ბოლგარიის დამოუკიდებლობა. 125 მილიონ ფრანკში აღმოსავლეთის რკინის გზების [illegible]აზოგადოების დასაკმაყოფილებლად ჯილდოც შედის.

## საზღვარ-გარეთ.

**პარიზი.** მთავარ ტელეგრაფზე მოსამსახურეთა ერთი წყების მოხსნის შემდეგ, მეორე წყებამ უარი განაცხადა მუშაობაზე. ესენი პირველ წყების მოსამსახურეებს უსაყვედურებდნენ—მთელი ღამის განმავლობაში იმუშავეს და დეპეშები ჰგზავნესო. მოხდა დემონსტრაცია, რომლის დროსაც დალეწეს ფანჯრები. სტატს-სეკრეტარის ამხანაგი სიმიანი, პოლიციის პრეფექტი[illegible] თანხლებით, [illegible] და წინადადება მისცა [illegible] სამსახურეებს, [illegible] დარბაზი ან შესდგომოდნენ მუშაობას. თხუთმეტამდე მოსამსახურე გავიდა დარბაზიდან, დანარჩენებმა მუშაობა დაიწყეს. პოლიციელები განშორდნენ შენობას. მხოლოდ ერთ დარბაზში ცოტა ხნის განმავლობაში მუშაობა არა სწარმოებდა იმის გამო, რომ ტოკი შეწყვეტილი იყო. ისინი, ვინც წინააღმდეგნი იყვნენ მუშაობის დაწყებისა, დათხოვნილ იქმნენ, პოლიციის სამსჯავრომ ფოსტის შვიდ მოსამსახურეს, რომელთაც დემონსტრაციის დროს სიტყვებით შეურაცხყვეს სიმიანი, ექვსი დღით დაპატიმრება მიუსაჯა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში განაგრძეს იმ კანონ-პროექტის განხილვა, რომელიც ახლად გასაწვევ ჯარისკაცებს შეეხება. ერთმა დეპუტატმა დაიმოწმა უნტერ-აფიცრად ნამყოფის ჩვენება და მოიყვანა მაგალითები იმისა, რომ ავსტრიაში ჯარისკაცებს მეტად სასტიკად ექცევიან. სახელმწიფოს დაცვის მინისტრმა ორატორს სიტყვა გააწყვეტინა და დაიძახა—„სიცრუეაო“. მინისტრს ტაშის ცემით მიეგებნენ. მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და გადაჭრით განაცხადა, რომ სისასტიკე არ არის ავსტრიის ჯარშიო.

**ფეცი** (მაროკო). ცხრა გაძლიერებულმა რაზმა აიტიუსის ოლქში დაამარცხა ტახტის მოქიშპეს ჯარი და ქალაქში დიდ-ძალი ტყვე მოიყვანა.

**პარიზი.** 2 მარტს, დღისით, მთავარ ტელეგრაფზე მშვიდობიანობა თითქოს აღდგენილ იქმნა, მაგრამ ტელეგრამების მიღება უმთავრესად ინგლისიდან, დანიასა და გერმანიიდან, ცუდის ამინდისა გამო, გაძნელებული იყო. გაფიცულ მოსამსახურეთა მიერ გაფუჭებული აპარატები გააკეთეს. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის ამ ჟამად კენჭის ყრაა იმის შესახებ, მოახდინონ თუ არა საყოველთაო გაფიცვა.

## რ უ ს ე თ ი

**სარატოვი.** პოლიტიკურ პროცესის გამო სამსახურიდან გადაყე-

# ფელეტონი

## კოოპერატიული მოძრაობა

რუსეთის კოოპერატიული მოძრაობა 1908 წელს.—ერობა და კორპერაცია რუსეთში.—სოფლისა და ქალაქის კოოპერაციათა ურთიერთობა.—კოო[illegible]ციის ორი ფორმის ბრძოლა უცხოე[illegible].—კოოპერაცია სერბიაში.—ბელგიის კო[illegible]პერაციების საპენსიო კასები.—კოოპ[illegible]ციის ზრდა შვეიცარიაში.

(დასასრული *)

ამ ჟამად კოოპერატიული მოძრაობა თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მას ყველა კულტურულ ქვეყნისათვის აქვს მნიშვნელობა. ამასთან ერთი ქვეყნის კოოპერატიულ მოძრაობის გამოცდილებას მნიშვნელობა აქვს მეორე ქვეყნისთვის, თუმცა მტკიცდება ისიც, რომ სხვა და სხვა ქვეყანაში კოოპერატიული შემოქმედება სხვა და სხვანაირია. რუსეთის კოოპერატიული მოძრაობა ჯერ მომავლის საქმეა. იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში ქალაქი და სოფელი დაშორებულია, რუსეთში სულ სხვა სურათსა ვხედავთ, აქ სოფელსა და ქალაქ შორის კავშირი არსებობს. ავიღოთ ინგლისი, რომელიც სამართლიანად ითვლება კოოპერაციების კლასიკურ ქვეყნად რას ვხედავთ იქ? არსად სხვაგან სოფელი და ქალაქი ისე დაშორებული არ არის ერთმანეთზე, როგორც ინგლისში. ინგლისში ქალაქის კოოპერაცია ძალზე განვითარდა და გაიზარდა; მან სოფლის კოოპერაცია თითქმის სულ დაჩრდილა. გერმანიაშიაც ქალაქის კოოპერაცია სჩრდილავს სოფლისას. ასეთსავე სურათს ვხედავთ ბელგიაში. უცხოეთში კოოპერაციების ტიპის მხრივ, მგონი, მარტო იტალია წააგავს რამდენადმე რუსეთს. აქაც, როგორც რუსეთში, რაღაც კავშირია ქალაქსა და სოფელს შორის. რუსეთი უპირველეს ყოვლისა მიწათ-მოქმედების ქვეყანაა. რუსეთის მრეწველობა გარეშე ბაზარზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მიწის მომუშავის მოთხოვნილებაზე. საჭიროა პატარა დაკვირვება, რომ კაცმა დაინახოს ეს.

ქალაქების ქარხნის მუშები უმთავრესად სოფლიდან დროებით ჩამოსულნი არიან, ისინი უმეტეს შემთხვევაში რამდენისამე ხნის შემდეგ ისევ სოფელს უბრუნდებიან. სამრეწველო დაწესებულებიც ისეთ ადგილებშია, რომ მუშას ძალაუნებურად უხდებათ სოფელთან კავშირის დაჭერა. მაგალითისთვის აიღეთ მოსკოვის სამრეწველო რაიონი, სადაც ქარხნები სოფლების მახლობლად გაშენებული არის. კოოპერატიული მოძრაობის დაწყებისათანავე კაცი ნათლადა ჰხედავს კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის. კოლომნის და ტვერის მუშები, რომელთაც კოოპერატიული იდეა შეითვისეს, უპირველეს ყოვლისა შეეცადნენ ეს იდეა ახლო-მახლო სოფლებში შეეტანათ, იმ სოფლებში, საიდანაც თვითონ იყვნენ, სჩანს, მათთვის კიდევ არსებობს „სამშობლო“, „კერა“. სხვა და სხვა პროფესიის მრავალი მოსიარულე (отхожіе и рабочіе) მუშების ისეთ ცენტრებს, როგორიც მოსკოვია, პეტერბურგი, ხარკოვი, ოდესა და სხვა, უკავშირებენ, კოსტრომის, ვორონეჟის, კალუგის გუბერნიის მივარდნილ და ყრუ ადგილებს. ეს მოსიარულე ხელოსნები იმდენადვე საჭიროებენ კოოპერატიულ დაწესებულებებს სოფლად, საიდანაც ისინი სამუშაოდ მიდიან, რამდენადაც ქალაქებში, სადაც ისინი დროებით მუშაობენ. არის მაგალითები იმისა, რომ საკრედიტო დაწესებულებანი მიწის მუშებთან ერთად შველიან ხელოსნებსაც, რომელნიც სარგებლობენ საკრედიტო დაწესებულებებით, რომ თავი დაიხსნონ მოიჯარადრეთა ექსპლოატაციას. ვისაც კოოპერატიულ მოძრაობისათვის თვალ-ყური უდევნებია, იმას ეხსომება 1906 წელს მოსკოვში მომხდარი კრება შრომის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. ეს საზოგადოება მოსკოვის გუბერნიის ერთ მაზრაში დაარსდა. განა ამისთანა მაგალითს ადგილი ექნებოდა, რომ სოფელსა და ქალაქ შორის კავშირი არა ყოფილიყო. სამხრეთ რუსეთში მუშათა შორის საინტერესო პროექტები დაიბადა. მრეწველობის კრიზისმა, როგორც სხვაგან, ხარკოვშიაც ბევრი მექანიკოსი გამოაგდო ქუჩაში. ამ უადგილოებს განუზრახავთ ხარკოვის გუბერნიის მაზრებში დაარსონ საამხანაგო სახელოსნოები და ამით თავიც შეინახონ და შემწეობაც აღმოუჩინონ სოფლის მიწის მუშას. ასეთ საამხანაგო სახელოსნოებს მომავალში დიდი სამსახური შეუძლიანთ გაუწიონ ჯერ კიდევ განუვითარებელ მიწათ-მოქმედების კულტურას. მართლაც და ყველასათვის, მით უმეტეს უბრალო გლეხისთვის, ადვილი არ არის ძვირფასი მაშინები შეიძინოს, რაიცა სპეციალურ ცოდნასა და მოვლას საჭიროებს, გამოცდილ მექანიკოსს კი შეუძლიან დიდი შეღავათი მისცეს მიწის მუშას, როგორც ეს ამერიკაში ხდება. სოფლის კოოპერაციებს თავიანთ მხრივ შეუძლიანთ დახმარება აღმოუჩინონ იმათ, რომელთაც თავიანთი შრომა და ცოდნა ქალაქიდან სოფელში გადააქვთ. ვიმეორებთ, სოფელსა და ქალაქ[illegible] შორის არსად ისეთი კავშირი არ არის, როგორც რუსეთში.

* *
*

15 წელიწადია, რაც ირლანდიაში გახურებული ბრძოლაა, ერთის მხრივ, ირლანდიელ მოიჯარადრეთა და გლეხთა ერბოს საარტელო კოოპერაციებს შორის და მეორეს მხრივ, ინგლისურ და შოტლანდიურ კავშირებს შორის. ირლანდიელ მოიჯარადრეებისა და გლეხების კოოპერაციები ინგლისურ და შოტლანდიურ კავშირებს ირლანდიელ გლეხთა ექსპლოატაციას აბრალებს. ისინი თხოულობენ, რომ კავშირებმა თავიანთ ერბოს ქარხნები ირლანდიელ კოოპერაცებს გადასცენ. ამ ბრძოლას პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მკითხველს მოკლედ გავაცნობთ იმის ისტორიას.

ინგლისურმა კავშირმა თავისი მოქმედება ირლანდიაში პირველად 1894 წელს გადაიტანა. ამით უნდოდა ჯერ ერთი—ინგლისის ბაზარზე, გაეიაფებინა ერბო (მაშინ მთელი ინგლისის ბაზარი დანიელ ექსპორტიორებს ეჭირად ხელში და, როგორც უნდოდათ, ისე ათამაშებდნენ ერბოს ფას) და მეორე—ერბოს დამზადების საქმე ისე დაეყენებინა, როგორც ამას ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა მოითხოვდა. კავშირმა არც შრომა და არც ფული არ დაზოგა საქმის კარგად დაყენებისთვის. მან ირლანდიის სხვა და სხვა ადგილას დაარსა ერბოს ქარხნები. იმისავე მაგალითს მიჰბაძა შოტლანდიურმა კავშირმაც. ამავე დროს ირლანდიის გლეხებს შორის თავი იჩინა **დამოუკიდებელმა** კოოპერატიულმა მოძრაობამ. ამ მოძრაობას ძალიან ხელი შეუწყო ინგლისის პარლამენტის დეპუტატმა გორაცი პლენკეტმა, რომელმაც ამის თვის დიდი შრომა დახარჯა. ირლანდიის კოოპერაციებმა თავიანთი კავშირი შეჰქმნეს. ამასთან რძის გამყიდველებმა (ესენი რძეს აწვდიდნენ როგორც ინგლისურ, ისე ირლანდიის კავშირების) თავიანთი ამხანაგობები დაარსეს და რძის ფასი ასწიეს. დეპუტატმა პლენკეტმა ინგლისურ და შოტლანდიურ კავშირებთან საბრძოლველად სწორედ ამ ამხანაგობებს მიმართა. პლენკეტის აგიტაციას ის მოჰყვა, რომ რძის მიმწოდებლების ამხანაგობებმა ინგლისურ და შოტლანდიურ კავშირებს მოსთხოვეს: ერბოს ქარხნები ჩვენ გადმოგვეცით, რადგან რძე ირლანდიელებისაა და ამიტომ ერბოც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა დაამზადონო. ეს ბრძოლა, როგორც ზემოდა ვთქვით, უკვე 15 წელიწადია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ირლანდიის ერბოს საარტელო ქარხნები საკმაოდ განვითარდნენ და გაძლიერდნენ. ეხლა საქმე იქამდის არის მისული, რომ ინგლისური და შოტლანდიური კავშირები რაიმე კომპრომის ეძებენ გაჭირვებიდან თავის დასახსნელად. ამ აზრით კავშირების წარმომადგენელნი ამ რამდენიმე ხნის წინად ირლანდიელ ერბოს კოოპერაციების მიერ გამართულ კონფერენციასაც დაესწრნენ. ირლანდიელ კოოპერაციების წარმომადგენელმა გოფფენმა წინადადება მისცა მათ, თქვენი ერბოს ქარხნები ზომიერ ფასად მიჰყიდეთ ირლანდიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომელიც ამ ქარხნებს საარტელო კოოპერაციებად გადააკეთებსო. გოფფენის სიტყვით, კავშირების ქარხნებმა ვერ შესძლეს ბაზარზე კონკურენცია გაეწიათ სხვებისთვის, მათ ერბოს ფასზე გავლენა ვერ იქონიეს. 1908 წელსაო, სთქვა გოფფენმა, კავშირების ქარხნებმა ბაზარზე გასასყიდად 21,000 ცენტნერი ერბო გაიტანეს, დანელებმა კი—360,000 ცენტნერი. გოფფენის აზრით ქარხნების ფასს სამედიატორო სასამართლო გადასწყვეტს. ინგლისურ და შოტლანდიურ კავშირების წარმომადგენლებმა ურჩიეს ირლანდიელებს, საბოლოოდ ნურაფერს გადასწყვეტთო, ამასთან აღნიშნეს, რომ ქარხნებმა ბევრი რამე გააკეთეს და კავშირების მოქმედებასაც კეთილი სურვილი ედო სარჩულადაო. შარშან დეკემბერში ირლანდიის დამოუკიდებელმა კოოპერაციებმა მეორე კონფერენცია მოიწვიეს, მაგრამ არსებითად არც ამ კონფერენციაზე გადაწყვეტილა რამე. მაინც საფიქრებელია, რომ ბოლოს ირლანდიელები გაიმარჯვებენ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ირლანდიელ დამოუკიდებელ კოოპერაციების ლტოლვილებას მარტო ეკონომიური სარჩული არ უდევს. არ უნდა დავივიწყოდ, რომ ირლანდიის ეროვნული გრძნობა ინგლისის მიერ შელახულია და სწორედ ამიტომ ამ ლტოლვილებას საკმაო პოლიტიკური მოტივიც ახლავს. ირლანდიის დამოუკიდებელმა კოპერაციებმა ირლანდია უნდა გააძლიერონ როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, რათა ამით როგორმე თავიდან მოიშორონ ინგლისელები, თორემ კავშირების კოოპერატიულ ქარხნებს კარგის მეტი არაფერი გაუკეთებიათ.

* *
*

სერბიაში კოოპერაცია უმთავრესად სოფელშია განვითარებული, ქალაქებში კოოპერატიული მოძრაობა ძა-

*) იხ. „დროება“ N 44.

...ბული იქმნენ კომიშანის საერო... სამმართველოს თავმჯდომარე და ...ლაქის თავი.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ ექიმ კორაბეკიჩს მიუსაჯა პამართა გამასწორებელ რაზმში ექვსი [თვ]ით დაპატიმრება. მიზეზი ის არის, რომ ამ ექიმმა ერთ ქალს მუცელი მოუცუდა.

**ოდესა.** სენატმა განმარტა, რომ თუ საგუბერნიო ან საქალაქო საზოგადოებათა და კავშირთა საკრებულოები არ შეატყობინებენ დაინტერესებულ პირთ რა დღესაც იქნება განხილული მათი საქმე, საკრებულოს განაჩენს ძალა არ ექნება.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი ხელმწიფესთან იყო. აუდიენციამ საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის გასტანა. ხომიაკოვმა მოახსენა ხელმწიფეს სათათბიროს მუშაობის შესახებ.

**პეტერბურგი.** ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში დაპატიმრებულთაგან ოთხი გაანთავისუფლეს. ინსტიტუტის შენობაში კრება იყო და პოლიციელების მისვლა რომ წინდაწინვე შეეტყობინებინათ, სათვალყუროდ დაეყენებინათ სტუდენტები, რომელნიც, გარდა ერთისა, დატუსაღებულ იქმნენ. საეჭვო პირების შეპყრობის შემდეგ, პოლიციის წინადადებით, ინსტიტუტის მთავრობამ მეცადინეობა შეაჩერა. მსმენელები გაანთავისუფლეს ბილეთების გასინჯვის შემდეგ. გამოირკვა, რომ კრების მოთავედ ინსტიტუტის მსახურნი იყვნენ. ჩხრეკას ინსტიტუტის დირექტორი დაესწრო.

**ოდესა.** სასამართლომ პალატამ გაარჩია საქმე შალტის მაზრის 11 გლეხისა, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგო საზოგადოების „შტუნდის“ წევრობა ბრალდებოდათ. ამ საზოგადოებას აზრადა ჰქონდა არსებულ პოლიტიკურ წესწყობილების დანგრევა. პალატამ ორს ერთი წლის ციხე მიუსაჯა, დანარჩენები გაამართლა.

**ვარშავა.** პოლიციის მიერ ჩაწერილი 86 სტუდენტი პოლიტეხნიკუმისა, საბჭოს დადგენილებით, დათხოვნილ იქმნენ და მიიღებიან ხელახლა მხოლოდ დირექტორის ნებართვით და იმ შემთხვევაში, თუ ხელწერილ დასდებენ, რომ ინსტიტუტში ისინი მხოლოდ სწავლის-შესაძენად იქმნებიან.

**კრონშტატი.** გამოკვლევის შემდეგ ქალაქის წყალში ხოლერის ბაცილები აღმოჩნდა.

**რიგა.** 21 მარტისათვის მოწვეული იქმნება ჟურნალისტთა კრება.

**იაროსლავლი.** დღე-ღამის განმავლობაში იაროსლავლში ხოლერით ავად გახდა ერთი, რიბინსკის მაზრაშიაც ერთი კაცი. სენის განახლებიდან გუბერნიაში ავად გახდა 64, გარდაიცვალა 64 კაცი,

**პოლტავა.** საღამოთი ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის ბინაზე, სასადილოს ფანჯრის გარედ, აფეთქდა ყუმბარა. არავინ დაშავებულა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 7 კაცი, გარდაიცვალა 3 კაცი.

სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე მეორე სათათბიროს ყოფილი დეპუტატის შორსკის, გაზეთ „გლეხის დეპუტატების უწყების“ რედაქტორისა. შორსკის მიესაჯა $1^1/_2$ წლით დაპატიმრება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**მოკლული პატიმრები.** ავლაბრის ხიდთან 2 მარტს საღამოთი მოკლული პატიმრები აღმოჩნდნენ ალექსანდრე ჟორდანია, ვასილ ბრიგლაძე და ალექსი სპანდერაშვილი.

**სასმელ დუქნების დაკეტვა.** ტფილისში კვლავ განაგრძობენ სასმელ დუქნების კეტვას. კიდევ დაკეტეს დუქან-სარდაფები და ტრაქტირები სადგურის ახლო-მახლო ადგილებში, მალაკანისა, ანდრეევისა, ავჭალისა და სხვა ქუჩებზე. დუქნები დაიკეტა აგრეთვე პოლიციის მე-9 ნაწილში და სხვაგ ნ. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციამ წინადადება მისცა ვაჭრებს დაიქირაონ თავიანთ ხარჯით პოლიციელები. ვაჭრები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ადმინისტრაციამ ნება დართო თითო ან ორ საპოლიციო ნაწილის ვაჭრებს, შეიკრიბნენ და მოილაპარაკონ თავიანთ მდგომარეობაზე. გუშინ მე-9 და მე-10 საპოლიციო ნაწილის ვაჭრების კრება მოხდა. ყველამ ის სთქვა, რომ ვაჭრებს არ შეუძლიანთ პოლიციელნი დაიქირაონო. ბოლოს ვაჭრებმა აირჩიეს კომისია და დაავალეს მათი ესეთი მდგომარეობა აცნობოს ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარეს, მოქალაქეთა სამართველოს და სხვა საზოგადო დაწესებულებებს და სთხოვონ, ხმა ამოიღონ და დახმარება გაუწიონ მთავრობასთან შუამდგომლობით, დღეს ვაჭრების კომისია წარუდგება ნამესტნიკს.

**სროლა.** უკვე აღვნიშნეთ, რომ ქალაქში ამ ბოლო დროს რაღაც საეჭვო ამბები ხდება. 3 მარტს, საღამოს 10 საათზედ, პრაჩკის ქუჩაზე მიმავალი პლასტუნთა მე-5 ბატალიონის ვახმისტრი დავით სტაროჟენკო. ვახმისტრს, პოლიციის ცნობებით, ვიღაცებმა რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. სტაროჟენკოს თან რევოლვერი არა ჰქონია, მაგრამ ხანჯალი ამოუღია და გამოსდევნებია უცნობებს, მაგრამ მათ მოუსწრიათ მიმალვა. ამავე დღეს ღამის $10^1/_2$ საათზედ როგორც პოლიციის გამოძიებიდანა სჩანს, კუკიის სასაფლაოს მახლობლად. თოფის წამლის საწყობთან, ვიღაცეებმა ვითომ რევოლვერი დასცალეს. დარაჯმა ჯარისკაცმაც რევოლვერითვე გასცა პასუხი და ასე ორივე მხრით 8-ჯელ გაუსროლიათ. ამის შემდეგ ნარიის ქუჩაზე გაჩხრიკეს გამვლელ-გამომვლელნი და, სხვათა შორის, დაიპატიმრეს შორაპნის მაზრის მცხოვრები ბესარიონ ტყემალაძე და ქართლის მცხოვრები ტრამვაის მეჯინიბედ ნამყოფი ალექსანდრე კობაძე.

**სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება.** პარასკევს, 6 მარტს, საღამოს სრულ 8 საათზე მოხდება მორიგი კრება „ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოებისა“. წაკითხული იქმნება ახალი ნაწარმოებნი: „ამირანი“, პოემა ა. შანშიაშვილისა, „საიდუმლო“ მოთხრობა გარიყულისა და ლექსი რუხაძისა. კრება მოხდება საზოგადოების ბინაზე, მოსკოვის ქუჩა № 4.

**ფულის მოთხოვნა.** პეტ. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოში მოსკოვის ამხანაგობის ქარხნის ოსტატთან სარქისოვთან ვიღაც უცნობი მისულა და „ზნამიას“ ჯგუფის სახელით 500 მანეთი მოუთხოვნია. უცნობს უთქვამს, ეს ფული ტერორისტულ აქტებისთვის გვინდაო. სარქისოვის ცოლს ყვირილი მოურთავს, უცნობს შეშინებია და გაქცეულა, მაგრამ პოლიცია დასწევია და დაუტუსაღებია. ღამე უცნობს საპოლიციო ნაწილის საკანის კედელი გაუნგრევია და გაქცეულა.

**წერილის მიღება.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოს სააქციზო კონტროლიორს ხანაგოვს ტერორისტთა ბაქოს ჯგუფისაგან ორი წერილი მიუღია. სთხოვენ 500 მანეთს. პოლიციას თვალ-ყური უდევნებია და როდესაც ფულის მისაღებად ორი კაცი მისულა, დაუტუსაღებია.

**წერა-კითხვ. საზოგადოების განყოფილება ზუგდიდში.** როგორც გვატყობინებენ, წერა-კითხვ. საზოგადოების განყოფილების დაარსება განუზრახავთ ზუგდიდშიაც. ზუგდიდის ინტელიგენციას კიდეც მიუმართავს ამისთვის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის. აკაკი წერეთლის პატივსაცემლად გამართულ საიუბილეო დღესასწაულიდან ზუგდიდში წმინდა შემოსავალი დარჩენიათ 600 მან. გადაუწყვეტიათ, ეს ფული გადასდონ ზუგდიდში აკაკის სახელობაზე ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დასაარსებლად. აპირებენ საკუთარი შენობა აავონ სამკითხველოსათვის.

**ყაჩაღთა ბრბოს მოსპობა.** როგორც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ბორჩალოს მაზრის უფროსს ყაჩაღთა ბრბო მოუსპია. ეს ბრბო სამ მაზრაში მოქმედებდა. სროლის დროს მოუკლავთ ბრბოს მეთაური და დაუჭერიათ ორი ყაჩაღი.

**მუშაობის შეჩერება.** მტკვარი იმდენად ადიდდა რომ მუხრანის ხიდის კეთება შეჩერდა.

**სტიპენდია.** ამას წინად ქალაქის გამგეობამ კენჭის ყრით აბესალომოვის სტიპენდია ტფ. ქალაქის პირველ გიმნაზიაში დაუნიშნა მოსწავლე ქალს გაბრიჩიძეს. რადგან შემდეგ გამოირკვა, რომ სტიპენდია მარტო სომხებს უნდა ენიშნებოდეს, ხელმეორედ ჰყარეს კენჭი და სტიპენდია ბახჩიევის ქალს დაუნიშნეს.

**ადგილის შეძენა.** გარეთ კახეთში გიორგი წმინდის მახლობლად თავ. მაყაშვილს 520 დესეტინა მიწა ჰქონდა. ეს ადგილი საგლეხო ბანკის დახმარებით ადგილობრივმა გლეხებმა შეიძინეს, დესეტინა 46 მან. სულ უნდა გადაიხადონ 24,000 მან.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** გუშინ, 4 მარტს, დილის 8 საათზედ, პოლიციის მე-9 ნაწილში ვორონცოვის ხიდზე გამვლელ გამომვლელთ სჩხრეკდნენ. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს დიდ ძალ ხალხს აპატიმრებენ ამის გამო ქალაქის საპოლიციო ნაწილების საპატიმროები ძალზე გაივსო ხალხით. ვის ვინაობასაც არკვევენ და პასპორტებიც აქვთ, ანთავისუფლებენ. პასპორტი სთხოვეს მათაც-კი, რომელნიც ქალაქის მკვიდრნი არიან. დიდ ძალი ხალხი აწყდება ტფ. მოქალაქეთა სამართველოს პასპორტების მისაღებად. დღეში ასამდე მეტი კაცი შედის იქ და მოხელენი თავს ვეღარართმევენ საქმეს.

**ტფ.** ქალაქის გამგეობამ ქალაქის საავადმყოფოს ბეითლად მიიწვია ითსებ გაბ. ხუციევი.

**3** მარტს საღამოს 8 საათზედ, ტფ. სასულიერო სემინარიის პირდაპირ პუშკინის ქუჩაზე, ტრამვაის ვაგონს ქვეშ ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ჩაეგდო პეტარდა. პეტარდის ხმამ ხალხი შეაშინა.

## ქუთაისი

**თავ. მიქელაძისა და თავდგირიძის დაპატიმრება.** 22 თებერვალს თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში მოხდა თავად-აზნაურთა კერძო, ოჯახური თათბირი, რომელზედაც, სხვათა შორის, გამოთქმული იყო შიში იმის გამო, ვაი-თუ საქმის გამოურკვევლად ქართველ უმაღლეს სამღვდელოების დევნამ არა სასურველი შედეგი გამოიწვიოს და ხალხს გული აუცრუოს მართლმადიდებელ ქრისტეს სარწმუნოებაზედაო. კრება საჭიროდ სცნობდა, რომ თავად-აზნაურთა მომავალ საზოგადო კრებაზედ აღძრულიყო შუამდგომლობა, რომ საქმის გამოუძიებლად არავინ დაისაჯოს. ამ უბრალო თათბირმა სრულიად მოულოდნელი შედეგი მიიღო, უთუოდ, უბრალო გაუგებრობის წყალობით. ბ-ნი გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც, ალბად, მოხსენდა ის, რაც კრებაზე არა ყოფილა, შეჰკითხებია გუბერნიის თავად-აზნაურთა [წინამძღოლს] ... ვინ დაესწრო კრებას ... ბი იყო განხილული, ვინ რა ილაპარაკა კრებაზე და რა რეზოლიუცია იყო მიღებულიო. 28 თებერვალს დააპატიმრეს თავ. დავ. ალ. მიქელაძე და თავ. ნ. ყ. თავდგირიძე. ამბობენ, სხვებსაც უპირებენ დაპატიმრებასაო. ჩვენებას ართმევენ იმ პირთ, რომელნიც თათბირს დასწრებიან. სხვათა შორის, ჩვენება ჩამოურთმევიათ ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძისათვის.

**ბათუმის ქალაქის რევიზია.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, დაინიშნა ბათომის ქალაქის გამგეობის რევიზია. რევიზორებად გაიგზავნენ სახაზინო პალატის უფროსი ბ-ნი პუშკარიოვი და ამავე პალატის საქმის მწარმოებელი ი. გ. ჩიმაკაძე.

**გოგოლის იუბილეი.** 19 მარტს ქუთაისის სასწავლებლები ქალაქის თეატრში მართავენ სადღესასწაულო აქტს ნ. ვ. გოგოლის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო. ქალაქმა უფასოდ დაუთმო თეატრი.

**საგამოფენო კომიტეტისთვის.** ქალაქის საბჭომ ასი მანეთი გადასდო ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის განკარგულებაში.

**მეფურნეების თხოვნა.** მეფურნეებს თხოვნა შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში პურის ნიხრის მომატების შესახებ.

**საბჭოს სხდომა.** ქალაქის საბჭოს მომავალი სხდომა დანიშნულია 9 მარტისთვის.

**ქალაქის** საბჭოს დადგენილებით, ქალაქის სააღთიაქო კომისიას მიემატა ხუთი ახალი წევრი: დ. ნ. აბდუშელიშვილი, ი. გ. ჩიმაკაძე, ს. ი. ხუბინოვი, ბ. ზ. მოსეშვილი და დ. ბ. კვირკველია. (ძველები დარჩნენ: დ. ა. ნაზაროვი, ი. ი. ზურაბაშვილი, გ. ი. გოგიელოვი, გ. დ. ნასარიძე და ფ. ა. რეკიგიონი.)

---

...ლიან სუსტია. ქალაქებში სულ რამდენიმე კოოპერაცია არსებობს 2.000 წევრით და მათი წლიური შემოსავალი 185,000 მანეთს უდრის. სამაგიეროდ, სოფელში კოოპერაციების საქმე კარგად მიდის, ასე რომ 1906 წლის ბოლოს სერბიაში უკვე 903 სასოფლო კოპერაცია ითვლებოდა.

სერბიაში კოოპერაციების იდეის პროპაგანდა მე-70 წლებში დაიწყო, მაგრამ მაშინ დაარსებულმა მწარმოებელმა და მომხმარებელმა კოოპერაციებმა ხანგრძლივ ვერ იცოცხლეს. მეოთხმოცე წლებში სერბიაში უკვე სერიოზული მუშაობა დაიწყო ამ მხრივ: ამ წელს დაარსდნენ საკრედიტო კოოპერაციები, სასოფლო-სამეურნეო, მომხმარებელი და სხვა ტიპის საზოგადოებანი. მე-90 წლებში უკვე დაარსდა ორი კავშირი: ერთი—გლეხთა საზოგადოებებისა, მეორე—ხელოსანთა. ამავე წელს დაარსდა გლეხთა კოოპერაციის ცენტრალური კასსა, რომლის მეპაიებადაც მარტო კოოპერაციებს შეუძლიანთ იყვნენ.

როგორც ზემოდ ვთქვით, სერბიაში 1906 წელს უკვე 903 კოოპერაცია არსებობდა; მას შემდეგ, რა თქმა უნდა, უფრო გაიზრდებოდა ეს რიცხვი (სამწუხაროდ, ბოლო წლების სტატისტიკა ძნელი საშოვნელია). კოოპერაციების ასეთ განვითარებას ხელს, სხვათა შორის, უწყობდა და უწყობს სახელმწიფოს მფარველობა. ყოველი კოოპერატიული საზოგადოება განთავისუფლებულია სახელმწიფო ხარჯისაგან. არ იხდიან საფოსტო გადასახადს, როდესაც მთავრობის ან ქალაქის დაწესებულებებთან მიწერ-მოწერე აქვთ. ამას გარდა მთავრობა გლეხთა კოოპერაციებს ფულს უსარგებლოდ აძლევს. მეორეს მხრივ კოოპერაციების ზრდას ხელი შეუწყო მათმა პოლიტიკურმა ნეიტრალობამაც.

ორიოდე სიტყვა კოოპერაციების კავშირებზე. როგორც ზემოდაცა ვთქვით, გლეხთა კოოპერაციებს ცენტრალური კასსა აქვთ. ეს კასსა კოოპერაციებს ხუთ პროცენტიან სესხს აძლევს. მასში 1906 წელს 450 კოოპერაცია შედიოდა. ამავე წელს მისი თანხა 1,670,000 მანეთს უდრიდა, ამის გარდა მასა აქვს ორი საწყობი სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, შაბიამანისა, თესლეულობისა, მიწის პატივისა და სხვა. სერბიის ყველა კოოპერაცია, მათ შორის ცენტრალური კასსაც, ერთ დიდ „საყოველთაო კავშირში“ შედის. ამ კავშირის სათავეში 15 კაცი სდგას. ამათ უმეტეს ნაწილს პროფესორები შეადგენენ. „საყოველთაო კავშირი“ ყოველ წლიწადს მართავს კრებას, რევიზიას უშვრება ამხანაგობებს (სულ 7 რევიზორია), ჰყავს ორი ინსტრუქტორი, ერთი ასწავლის გლეხებს, თუ როგორ უნდა მოიხმარონ მანქანები, მეორე—ერბოს და ყველის გაკეთებას. ამ ბოლო დროს მესამე ინსტრუქტორი დაიქირა, რომელიც გლეხებს მეღვინეობას ასწავლის. ამას გარდა „საყოველთაო კავშირი“ ყოველ წლივ საკოოპერაციო კურსებს ხსნის, რაზედაც 9250 მანეთს ხარჯავს. ვაჭრები ძალიან მტრულის თვალით უყურებენ სერბიის ქალაქისა და სოფლის კოოპერაციებს. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ვაჭრებმა საქონლის მიყიდვაზე უარი განაცხადეს. ამის სარგებლობაც კი მოიტანა, რადგან სერბიის კოოპერაციებმა საქმე დაიჭირეს ინგლისურ კავშირთან, ავსტრიის და იტალიის მომხმარებელ საზოგადოებებთან და ახლა უფრო იაფ და კარგ საქონელს ყიდულობენ.

***

ბელგიაში კარგა ხანია, რაც სოციალისტური (ბელგიაში პარტიული კოოპერაციებია) კოოპერაციები თავიანთ მოხუც წევრებს პენსიებს აძლევენ. მაგალითად, კოოპერაცია „თანხმობა“ თავის 126 მოხუც წევრს აძლევს პენსიას, სულ 3,559 მანეთს წელიწადში. საპენსიო თანხას კოოპერაციები საწევრო დივიდენდიდან იღებენ, თვითეულ წევრის იმ დივიდენდიდან, რომელიც წევრს 5 გირვანქა პურის სასყიდლად ეკუთვნის. ახლა ამ კოოპერაციის გამგეობას გადაუწყვეტია, საპენსიო თანხად გადასდოს მთელი ის მოგება, რომელიც მას ახლად აშენებულ ლუდის ქარხნიდან დარჩება. პენსიის მიღების უფლება აქვს ყველა 60 წლის მოხუც წევრს და 55 წლისას, თუ მან სრულებით დაჰკარგა მუშაობის უნარი. წევრების ქვრივები, რომელნიც 60 წლისანი არიან, ქმრის პენსიას იღებენ.

ამნაირადვე მოწყობილი საპენსიო კასები სხვა კოოპერაციებშიაც. რა თქმა უნდა, ამითი ბევრი არა გაკეთდებარა, რადგან მუშაობის უნარის დამკარგველს წელიწადში 30 მანეთი ბევრს ვერაფერს შეჰმატებს. აქ, მოხუც მუშის უზრუნველსაყოფად, საჭიროა სახელმწიფოსაგან სავალდებულო დაზღვევა.

***

არსად, მგონია, ისე სიჩქარით არ იზრდება კოოპერატიული მოძრაობა, როგორც შვეიცარიაში. შვეიცარია მცხოვრებლების მიხედვით რუსეთის $8^1/_{50}$ შეადგენს და მიუხედავად ამისა აქ რამდენჯერმე მეტი კოოპერაცია, სანამ რუსეთ. თუ სტატისტიკას გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ კოოპერატიული მოძრაობა შვეიცარიაში თან და თან საკვირველად იზრდება. აი სტატისტიკაც :1887 წ. შვეიცარიაში 190 კოოპერაცია ითვლებოდა, 1895 წელს—3947, ხოლო 1908 წელს—უკვე 5,295 კოოპერაცია. თუ ჩავთვლით იმ 627 საზოგადოებას, რომელიც 1908 წლის სავაჭრო რეესტრში არ არის შეტანილი, გამოვა, რომ შვეიცარიაში, 5900 სხვა და სხვა გვარის კოოპერაცია იყო შარშან. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი რეესტრში შეტანას ერიდებიან და გაურბიან.

შვეიცარიაში არსებობს აგრეთვე კოოპერაციების კავშირი. ამ კავშირის ცნობებით, შვეიცარიაში კოოპერაციის შემდეგი ტიპებია: 1. მომხმარებელი საზოგადოებანი—902 2. მწარმოებელთა და სყიდვის საზოგადოებანი—1,600; 3 წმინდა სამრეწველო საზოგადოებანი—2076; სავაჭრო ამხანაგობები—426; სოციალურ ორგანიზაციის ამხანაგობები—375; 6. კოოპერაციის ფორმის მინაგვარი სხვა და სხვა ორგანიზაციები—509.

დიდ როლს შვეიცარიაში თამაშობენ მომხმარებელი საზოგადოებანი, თუმცა მათი რიცხვი მცირეა. შვეიცარიაში მომხმარებელ საზოგადოებათ მარტო ერთ კავშირში (შვეიცარიაში რამდენიმე კავშირია) 1908 წლის დასაწყისში შედიოდა 170,000 ოჯახი, რომელთაც კავშირის 794 კოოპერატიულ დუქანში 70 მილიონ ფრანკის საქონელი უყიდნიათ და ამ ვაჭრობით 6 მილიონი ფრანკი დარჩენიათ. კავშირის ცენტრალურ საწყობის თანხა 17 მილიონ ფრანკამდე ავიდა.

**მ. ხ—ლი.**

# უკანასკნელი ამბები

## ბალკანეთში

**„ომი აუცილებელია“.**

ზოგიერთი უცხოელი კორესპონდენტი ირწმუნება, რომ ავსტრიასა და სერბიას შორის აუცილებლად მოხდება ომიო.

როგორც დღევანდელ დეპეშებიდან სჩანს, ამ კორესპონდენტების აზრი იქნება არც ისეთი შემცდარი იყოს, როგორც ზოგსა ჰგონია.

**რას თხოულობენ ავსტრია და სერბია.**

როგორც დეპეშებიდან ვიცით, ავსტრია თხოულობს, რომ სერბიამ პირდაპირ მასთან გამართოს მოლაპარაკება ყველა სადავო საკითხის შესახებ, ხოლო სერბია უარს ამბობს ამაზე და აცხადებს, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას საკითხი საერთაშორისო კონფერენციამ უნდა გაინხილოსო. სერბიის დიპლომატები ამტკიცებენ, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას საკითხი უნდა გადასწყვიტოს იმ სახელმწიფოთა კონფერენციამ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბერლინის ხელშეკრულობას, რადგან ეს სახელმწიფოები ვერ მოითმენენ, რომ ავსტრიამ მათ დაუკითხავად სამუდამოდ დაისაკუთროს ბოსნია და ჰერცოგოვინა, რომლებიც მათ მხოლოდ დროებით ჩააბარეს ავსტრიას. მართალია ოსმალეთმა შეთანხმების ძალით ეს ორი პროვინცია სამუდამოდ დაუთმო ავსტრიას, რის სამაგიეროდ ფული და სხვა უფლება მიიღო მისგან, მაგრამ ეს გარემოება არა სცვლის საქმეს, რადგან ოსმალეთმა მხოლოდ თავის მხრივ დაუთმო ავსტრიას და მხოლოდ თავის საკუთარ უფლებაზე აიღო ხელი, ხოლო დიდ სახელმწიფოებს მაინც აქვთ უფლება ამ საქმეზე ანგარიში მოსთხოვონ ავსტრიას და ბოსნია-ჰერცოგოვინას საკითხის შესახებ კონფერენცია გამართონო.

ავსტრიას კი, როგორც ეტყობა, ჰკუაში არ მოსდის ეს კონფერენცია, რომელზედაც წასვლა მას თავის დამცირებად მიაჩნია, იგი დაჟინებით თხოულობს, რომ სერბიამ პირდაპირ მარტო მასთან გამართოს მოლაპარაკება და რომ პირდაპირ მას მოურიგდეს სადავო საქმეების შესახებ, და მხოლოდ ამ მორიგების შემდეგ იქნება შესაძლებელი საერთა შორისო კონფერენციის მოწვევა, თუ საჭირო-ღა იქნებაო.

ორივე სახელმწიფო თავისას გაიძახის და არც ერთი არ აპირებს დათმობას. ამავე დროს ორივე სახელმწიფო ბეჯითად ემზადება საომრად...

ავსტრიას ბეჯითად ეხმარება მისი მოკავშირე მძლავრი გერმანია; მართალია, მეორე მისი მოკავშირე იტალია ხმას არ იღებს, მაგრამ, როგორც გერმანული გაზეთები იუწყებიან, იგიც არ უღალატებს თავის მოვალეობას და თუ საჭირო იქნება მხარს დაუჭერს მოკავშირე ავსტრიასო.

პატარა სერბიას მხარს უჭერენ რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი, მაგრამ ესენი როგორღაც არა გულით ეკიდებიან საქმეს, ჯერ-ჯერობით მაინც, და მათი ეხლანდელი დახმარება ვერას დროს ვერ შეედრება იმ მძლავრ ქომაგობას, რომელსაც გერმანია უწევს თავის მოკავშირე ავსტრიას. ამიტომ ამ ჟამად ცხადად ვხედავთ, რომ ავსტრიას თავისი გაჰყავს და რომ სამთა კავშირის, დიპლომატია ჯერ ჯერობით მაინც, სჯობნის რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის დიპლომატიას. სერბიას იმედი აქვს აგრეთვე სხვა სლავიანთა პატარა ერების დახმარებისაც, მაგალითად ჩერნოგორიელებისა, ბოსნია-ჰერცოგოვინელებისა და ხორვატებისა.

## ოსმალეთში

**რევოლუციონური მოძრაობა ცეზარეაში.**

ქალ. ცეზარეაში რევოლუციონერთა ჯგუფს დაეცა ქალაქის უფროსის სახლს ჯემალ-ბეის. მხოლოდ ჯარმა და პოლიციამ გადაარჩინა იგი გაავებულ რევოლუციონერებისგან, რომლებიც ბრალსა სდებენ ჯემალ-ბეის, რომ იგი „ოსმანლი-ეხრარ“-ის პარტიას ეკუთვნისო. „ოსმანლი-ეხრარ“

ჰნიშნავს „ოსმალელ თავისუფალ მოაზრეთა პარტიას", — ისე ეძახიან ეხლა პრინც საბახ-ედინის პარტიას, რომელსაც წინად ეძახდნენ „დეცენტრალიზაციისა და კერძო თაოსნობის პარტიას".

**რუსეთში გადასახლებულ სომხების საქმე.**

„ბაქუს" ატყობინებენ სტამბოლიდან: რუსეთმა და ოსმალეთმა დაასრულეს მოლაპარაკება იმ 60 ათას სომხის შესახებ, რომლებიც 1895—1896 წლების ხოცვა-ჟლეტის შემდეგ კავკასიაში გაიქცნენ. ოსმალეთის მთავრობა დასთანხმდა, რომ ეს რუსეთში გადმოსახლებული სომხები ისევ დაბრუნდნენ ვანსა და არზრუმში მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ უთუოდ უნდა ჰქონდეთ ოსმალური პასპორტები. ვინც მათგან რუსეთის ქვეშევრდომობას მოისურვებს, — დაეკარგება ოსმალეთში ცხოვრების უფლება.

**სოფტები**

დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა საპარლამენტო კომისიის მიერ წარდგენილი წინადადება, სოფტებს (უმაღლეს სასულიერო სასწავლებელთა სტუდენტებს) განსაკუთრებითი ეგზამენი დაიჭირონ ხოლმე, როცა 21 წლისა შესრულდებიან, და თუ ეგზამენატორები სცნობენ, რომ მათ სწავლის განგრძობის ნიჭი არა აქვთ, მაშინ სოფტებმა სამხედრო ბეგარა გადაიხადონ ხოლმე.

# მოწერილი ამბები

**დ. სამტრედია.** ყველაფერი მოსალოდნელია ამ ჩვენს ახირებულ დროში, მაგრამ რაც კვირას, პირველ მარტს, მოხდარა კულაშის საზოგადოებაში — ეს ახალი დაუმსახურებელი დატანჯვის მაგალითია საბრალო მშრომელ გლეხკაცობისთვის. ამ დღეს კულაშის საზოგადოების ახლად დაყენებულ მთავრობის მამასახლისს მოუწვევია ყრილობა. იგი წინდა-წინვე დამუქრებია მცხოვრებთ, ვინც არ გამოცხადდებოდა ამ ყრილობაზე, დაჯარიმებული იქნებოდა ხუთი სანეთითაო. რასაკვირველია, ურჩობას ვერავინ გაუბედავდა და ამ დღეს აუარებელ ხალხს მოუყრია თავი. ყრილობის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ბ-ნთ მიქელაძეებს განუზრახავთ ს. კულაშში ფოსტის განყოფილების და ბაზრის დაარსება, აუყოლიებიათ მთავრობის მამასახლისიც და, რადგან მათ განზრახვა ჰქონიათ საზოგადოებისთვის მოეხვიათ ხარჯი, რისთვისაც მისი ნებაყოფლობაც იყო საჭირო, ყრილობა მოუწვევიათ. საქმის ინიციატორებს მიუწოდებიათ საზოგადოებისთვის წინადვე დამზადებული ოქმი და მოუთხოვნიათ ხელის მოწერა, მაგრამ თითქმის ნახევარ საზოგადოებას კატეგორიული უარი განუცხადებია. საბუთად მოუყვანიათ გაჭირვებული მდგომარეობა და ის გარემოება, რომ მათ მაინცა და მაინც არ ესაჭიროებათ ს. კულაშში არც ფოსტის განყოფილება და არც ბაზარი, იქვე სამტრედიაში ერთიც არის და მეორეც. ამნაირი პასუხი, არ მოსწონებიათ ბ-ნთ მიქელაძეებს და გინება დაუწყიათ მოწინააღმდეგეთათვის. ერთს ბობოლას ისიც კი დაუქადნია, რომ სამტრედიაში ქვას-ქვაზე არ დავტოვებო, რადგან იმის წარმოდგენით, მხოლოდ სამტრედია ეწინააღმდეგება მათ სურვილს. გინებით, რასაკვირველია, ფონს მაინც ვერ გავიდოდნენ და ძალით მოუნდომებიათ საზოგადოებისათვის ხელის მოწერინება. მამასახლისის უბრძანებია დარაჯებისათვის, წრე შემოუვლოთ და ვინც ხელს არ მოაწერდა, დაეპატიმრებინათ. ამნაირად 400 სამდე სული დაუტყვევებიათ ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში. ბოლოს ეს ამბავი სამტრედიაში მოვიდა. აქ რამდენმა, სახატო პირმა მიმართა ბოქაულს, რომელმაც იმ წუთშივე გაჰგზავნა თავისი დარაჯები და დატყვევებულნი გაათავისუფლებინა.

ამაზე ახირებულობა განა შეიძლება? საზოგადოებას ეკითხებიან, რა აზრისა ხარო და როდესაც ეს უკანასკნელი უარ ამბობს, სჯიან. განა ვერა ჰხედავენ ბ-ნნი მიქელაძენი, რომ კულაშის საზოგადოებას არ ესაჭიროება ამ ჟამად მათი ფოსტა და ბაზარი და გინდაც ესაჭიროებოდეს, სახსარი არა აქვს ამისთვის? როდესაც მოთხოვნილება გაჩნდება, მაშინ თითონვე მშვენივრად მოაგვარებენ საქმეს.

კვირას, 1 მარტს, დ. სამტრედიის რკინის გზის თეატრში ქუთაისის არტისტებმა წარმოადგინეს „დეკის ქალი გულჯავარ". ისტორიულ პიესებს ხალხი ქალაქებში საკმაოდ ესწრება, ხოლო დაბებში ამნაირი პიესები უფრო დიდ გასავალშია. თუმცა დ. სამტრედიელნი თეატრისადმი დიდ გულგრილობას იჩენენ, მაგრამ ამ წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. არც არტისტები თამაშობდნენ ურიგოდ და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

ბოლოს წარმოადგინეს ვოდევილი „დუელი", რომელმაც ხალხი ძლიერ აცინა.

**კრუხი.**

# თეატრი და ხელოვნება

**სასულიერო კონცერტი.** 3 მარტს, სახაზინო თეატრში, საქველმოქმედო აზრით, გაიმართა დიდი სასულიერო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მართლმადიდებელ მგალობელთა გუნდებმა — რუსულმა და ქართულმა, კათოლიკეთა და სომეხ-გრიგორიანთა.

ყველაზედ უფრო საზოგადოებას მეორე განყოფილება — კათოლიკეთა — მოეწონა და, მართლაც, მათი საინტერესო პროგრამა სასიამოვნოდ იყო აღსრულებული. საკმაოდ მწყობრმა გალობის მოყვარულთა გუნდმა, ბ- სვენციცკის ლოტბარობით, კარგად იგალობა შვეიცერის „მრწამსი" და ზინგერ ბერგერის „კირიე ელეისონ". ამას მოჰყვა ტრიო „ავე მარია" სასოლისტო ნომრები „მამაო ჩვენო" პოლონურად, „შობა" ადამის მუსიკა, ბეტჰოვენის მუსიკა „პიეტა სინიორე" და სხვა, რომელნიც დიდის სიამოვნებით მოისმინა საზოგადოებამ, რადგან სოლისტო ნაწილებს ფრიად რიგიანად ასრულებდნენ ბ-ნნი ვილიამსი, დურანტა, სპენდიაროვისა და დავიდოვისა და ბ-ნნი საადა, ტრჟეცეცკი, პოტემკოვსკი, მუხანოვი და სხვანი. ამავ განყოფილებაში გამოვიდა თამარ ძნელაძე, რომელმაც დიდის ხელოვნებით აღასრულა სკრიპკაზე ანდანტე რელიგიოზო. საზოგადოების თხოვნით ეს ნომერი განმეორებულ იქნა.

კარგად გაწრთვნილი იყო რუსული ხორო ბ-ნ დანოვსკის ლოტბარობით. მის მიერ შესრულებულმა „ნეტარ არს კაცი" ჩაიკოვსკისა, „აღზდეგინ ღმერთი" და ბარტნიანსკის ზოგმა საგალობელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე.

არ უშავდა-რა არც სომხების გუნდს, რომელმაც მწყობრად შეასრულა ეკმალიანის მიერ დაწერილი საგალობლები „მამაო ჩვენო", „წმიდა არს, წმიდა" ავტორისავე ლოტბარობით.

მწუხარებით უნდა სთქვათ, რომ ქართული განყოფილება ყველაზედ სუსტი იყო. მგალობელთა გუნდმა, ბ-ნ სულხანიშვილის ლოტბარობით, შეასრულა მისივე თხზულებები „აქებდით უფალსა ზეცით", „შენ გიგალობთ" და სხვა. ამ საგალობელთა მუსიკალურ ღირსებანაკლზე დაწვრილებითი და ავტორიტეტული სიტყვა სპეციალისტებმა სთქვან; მაგრამ ჩვენ კი აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებას ისინი არ მოეწონა არც მუსიკის, არც აღსრულების მხრით...

ხალხი კონცერტს აუარებელი დაესწრო.

# სასამართლო

**არქიმანდრიტი და ყუმბარები.**

პირველსა და ორ მარტს ხელ-მეორედ გაირჩა საქმე სომეხთა არქიმანდრიტის კორიუნისა.

ამას წინად სამხედრო სასამართლომ კორიუნი სრულებით გაამართლა, მაგრამ მთავარმა სამხედრო სასამართლომ, ბრალმდებელის განსაჩივრებით, სამხედრო სასამართლოს განაჩენი გააუქმა და დაავალა ტფ. სამხედრო სასამართლოს, ხელ-ახლა განეხილა ეს საქმე. კორიუნი გაძლიერებულის დარაჯების თანხლებით მოჰყავდათ სასამართლოში და მიჰყავდათ იქიდან. არქიმანდრიტს ჰბრალდებოდა ყუმბარების შენახვა და საზოგადოდ რევოლიუციონური მოქმედება.

სასამართლომ კორიუნი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ღირსების ახდა და 8 წლით კატორგაში გაგზავნა.

**გახრწნის განზრახვა.**

გუშინ ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ვინმე ი. გ—ძისა. მას ჰბრალდებოდა პატარა ქალის (5 წლისა) გაიავერონსკაიას გახრწნის განზრახვა. ბრალდებული 38 წლის კაცია. სასამართლომ დამნაშავედ იცნო იგი და მიუსაჯა 2 თვით დაპატიმრება. სასამართლოში სხვა მოწმეებთან ერთად თვით ბავშვიც იყო დაბარებული.

**ყალბი ფულის გავრცელება.**

ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე კვირტიასი და პიპიასი. მათ ჰბრალდებოდათ 3 მანეთიან ქაღალდის 5 და 10 მანეთიან ოქროს ყალბ ფულის შენახვა და გასაღება. პოლიციას კვირტიასათვის ჯიბეში ეპოვნა რამდენიმე ათი ცალი 3, 5 და 10 მანეთიან ყალბი ფულისა. კვირტიას ეთქვა გამოძიების დროს, ეს ფული ჩემი არ არის, პიპიამ გადმომცაო. სასამართლოში მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ კვირტიას ვიღაცამ გაზეთში გამოხვეული ფული გადასცაო. პიპიას საქმეში მონაწილეობა კი ვერავინ დაამტკიცა, სასამართლომ კვირტიას 4 წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა. პიპია-კი კი სრულებით გაამართლა.

# რუსეთი

✦ **მემარჯვენეთა შუამდგომლობა.** როგორც გაზეთ „როსსიას" გაუგია, მემარჯვენეთ გადაუწყვეტიათ, შუამდგომლობა აღძრან ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ გამორკვეულ იქმნას მარკოვ მეორის და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის შორის მომხდარი ინციდენტი.

✦ **პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი გაჩხრიკეს. გაზეთების ცნობით, გაჩხრეკის დროს აღმოუჩენიათ 7 ფუთამდე სხვა და სხვა დოკუმენტი მიწერ-მოწერა და განაჩენები. პოლიციის ცნობით, ინსტიტუტში კრება ჰქონიათ სოციალისტ-რევოლიუციონერების მებრძოლ ორგანიზაციებს.

✦ **ახალი საარჩევნო კანონი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ირწმუნებიან, რომ მთავრობა ახალ საარჩევნო კანონს ადგენსო. ახალ საარჩევნო კანონით სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად არჩევის უფლება მხოლოდ განათლების ცენზით იქნება შეზღუდული იმას, ვისაც საქალაქო ოთხკლასიანი სასწავლებელი მაინც არა აქვს გათავებული, სათათბიროს დეპუტატად ვერ აირჩევენ.

✦ **განთავისუფლება.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, სააღდგომოდ გაანთავისუფლებენ გენ. სტესელს, ნებოგატოვს და გრიგოროვს.

✦ **კიევის აკადემია.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, სინოდი რუსეთის სასულიერო აკადემიებს „ხწმენდავს". სხვათა შორის კიევის აკადემიიდან სამი პროფესორი დაითხოვა და ახლა სხვებსაც ამახვე უპირებს. კიევის აკადემიის საბჭოს უთხოვნია სინოდისთვის, როდესაც აკადემიის ავტონომიის მოსპობის შესახებ თათბირი გექნებათ, აკადემიის წარმომადგენლებსაც მიეცით უფლება დაესწრნენ ამ თათბირსაო. სინოდს ამაზე მეუთქვამს, რომ როდესაც საჭირო იქნება, ჩვენ თვითონ მოვიწვევთ გამოცდილ პირებს, თქვენი მოგონება საჭირო არ არისო.

✦ **წერილების გახსნა.** იუსტიციის მინისტრს განუმარტავს, რომ პოლიტიკურ ტუსაღთა წერილების გახსნა და წაკითხვა, პროკურორთა გარდა, ციხის უფროსებსაც შეუძლიანთო.

✦ **კიდევ დეკანოზ ვოსტორგოვზე.** როგორც ვიცით, დეკანოზმა ვოსტორგოვმა გაიმარჯვა და თავისი გაიტანა. იგი მალე გაემგზავრება ციმბირში, საიდანაც იაპონიასა და ჩინეთში წავა მისიების სარევიზიოდ. რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ვოსტორგოვი მიტროპოლიტმა ანტონიმ თავის სახლში მიიწვია, სადაც სხვა ორი მიტროპოლიტიც იყო მიწვეული. მიტროპოლიტებს მწუხარება გამოუთქვამთ იმის შესახებ, რომ თქვენ (ვოსტორგოვს) გაწყენინეთო, და განუცხადებიათ, ყველაფერი ძალაში დარჩებაო. ასეთივე სიტყვებით მიუმართავს ვოსტორგოვისთვის სინოდის ობერ-პროკურორს ლუკიანოვს. ვოსტორგოვს უკვე მიუღია 100,000 მანეთი სამგზავროდ და წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი. იგი ამ დღეებში გაემგზავრება ციმბირში.

✦ **ვარშავის უნივერსიტეტში.** დეპეშებმა უკვე გადმოგვცეს, რომ ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტები გაიფიცნენ, რომ ისინი ეგზამენების სისტემის შეცვლას თხოულობენო. ამის გამო რამდენიმე სტუდენტიც დაატუსაღეს. გაზეთები დამატებით ცნობებს გადმოგვცემენ ამის შესახებ. როდესაც სტუდენტებს რეზოლიუცია გამოუტანიათ და პრორექტორისთვის წარუდგენიათ, მას უთქვამს: „განა თქვენც სტუდენტებად სთვლით თქვენ თავსაო". სტუდენტებს მოუთხოვნიათ, რომ პრორექტორმა ბოდიში მოიხადოსო, რაზედაც, რა თქმა უნდა, უარი მიუღიათ. ამის შემდეგ სტუდენტებს თავიანთი მოთხოვნილებებისთვის (ეგზამენების სისტემის შეცვლა, გოგოლის იუბილეის დღესასწაული) ეს მოთხოვნაც მიუმატებიათ. პრორექტორს გამოუცხადებია სტუდენტებისთვის, მინისტრის განკარგულებით, თუ სწავლას არ შეუდგებით, უნივერსიტეტი დაიკეტება და ყველას დაგითხოვთ. თუ ამას არ აასრულებთ, პოლიციას დავიბარებთ და უნივერსიტეტს იხე დაგაცლევინებთო. სტუდენტები დაშლილან და ყრილებითი გაფიცვა გამოუცხადებიათ.


# განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექიანისა. (წლ.—ნ.—24)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—40)

# სამკურნალო
**გარედან მოსიარულეთათვის**
**ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.**
რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ასპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი** (100—ხალ.—10)

ჟ უ რ ნ ა ლ ი
# „ვესტნიკ ზნანია"
(ВѢСТНИКЪ ЗНАНІЯ)

**შინაარსი პირველ ნომრისა:**

**პროფ. ი. ხ. ოზეროვი**—„რუსეთი ციფრებში"; **დ-რი ფრიდრიხ ადლერი**—„მხოვლიოს ელემენტების აღმოჩენა"; **გ. კ. გრადოვსკი**—„რეაქციის ბურჯები (1880—1881 წ. წ.)"; **ფრონსის მიური**—„ინდოეთის გამოღვიძება"; **პრივ. დოც. ა. გენკელი**—„მოკლე მიმოხილვა ევოლუციონურ იდეიისა ბიოლოგიაში (სურათებით); **ა. ა. ნიკოლაევი**—„თემი და აგრიკულტურა"; **კ. ლესესტრ**—„ზღვის დამარცხება"; **დ. სვიატსკი**—„ბიბლიური კოსმოგონია და თანამედროვე მეცნიერება" (დასურათებულია); **კ. ა. კელჩი**—„ცხოველების ძილი ზამთრობით"; **პროფ. ს. იურიევიჩი**—„უკანასკნელი დღეები იმპერატორ პავლე პირველისა"; **პრივ. დოც. ა. გ. ტიმოფეევი**—„იურიდიული დაუხმარებლობა"; **ე. კ. დანინისა**—„აგრონომიური შეძლება და აგრარული პოლიტიკა" (სურათებით); **კ. ი. გოფმანი**—„ქორწინების ტრფიალი და დღიურ მუშა ქალის სიკვდილი" (სურათებით); **დ-რ უ. ჟოზეფი**—„ადამიანის სახის ნაკლულევანობათა მოსპობა ქირურგიის საშუალებით, ახალი საბუთები ადამიანის წარმოშობის შესახებ; კოსმეტიკა მეცნიერებაში; ნერვებში მომხდარ მოვლენათა ბუნება"; **პრივ. დოც. ბოროდოვსკი**—„ელემენტების გარდაქმნა; ევანგელისტა ტორიჩელლი; საინტერესო ქიმიურიც და, ელექტრონის ზეგავლენა ზოლოფილზე; თევზების გამოყენება მალარიასთან ბრძოლაში. მიწის-ძვრა სიცილიასა და კალაბრიაში". **ცხოვრება და ლიტერატურა:** მებრძოლი ღვთაების მაძიებლობა. ჩინური მარსელიეზა. მოგონებანი იმაზე, თუ როგორ დასაჯეს 1881 წ. პირველ მარტის მეფის მკვლელნი. დიადი ლიტერატურული დანაკლისი. ლენსკის სახსოვრად. **ბელეტრისტიული განყოფილება:** რედაქციისაგან. **თეოდორე ჩორნი**—„მაშინის აჯანყება. პური და კარაქი. კარიკატურები"; **მარსელ გერბიდონი**—„უფროსი მაღაროელი". **საზონოვი**—„ახალი წელიწადი" (ლექსი); **ლეონიდ ანდრეევი**—„მოთხრობა შვიდ ჩამოხრჩობილზე"; **ი. იხოროვი**—„უფსკრული და თავხედობა" (ლექსი პროზად).

განყოფილება მეორე: რედაქციისაგან. **ა. ნიკოლაევი**—„მშრომელ ხალხის ბიუჯეტი. ხმა ჩრდილოეთ-დასავლეთის ახოს სოფლიდან. გამოკითხვის ფურცელი. ბიუჯეტის გამო". **ურთიერთის დახმარება**; საზოგადო განყოფილება. „მოგილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მკითხველო! (თანამშრომლების სურათებით). სახალხო სკოლა გლეხობის თვალში. რადა ვდუმთ! გიხლოვთ გამოსთქვათ აზრი".

**მესამე განყოფილება:** კაცობრიობის კულტურის ყოველწლიური. რედაქციისაგან. **ვ. პოსე**—ისტორიული კალენდარი». „1908 წლის წინა ღამე"! (სურათებით) პოლიტიკური კარიკატურები. **ლ. დვიგი**—«1908 წ. მეცნიერული ნანადერძევი" (სურათებით); **ვიაჩესლავ პოლონსკი**—„უკანასკნელი დრუბლები გაფანტულ ქარბუქისა. გარყვნილების საიდუმლოება და რუსული ლიტერატურა"; **ს. კ. ისაკოვი**—„მომავლის იმედები ხელოვნებაში (სურათებით) **ბორის ბარზოლენკო**—„სათეატრო წელიწადი". პასუხები **ხელის მომწერლებს და სხვა.**

პირველ ნომერთან ერთად ხელის მომწერლებს დაურიგდებათ სამი წიგნი: ბებელი—„დედაკაცი და სოციალიზმი" (სურათით); **ფლამარიონი**—«ასტრონომიის საფუძვლები» (სურათებითა და რუქით); **გუსტავსონი**—„ადამიანი, ცხოველი და მცენარე, პოპულიარული ბიოლოგია" (სურათებით).

**ხელის მოწერის პირობები.** 53 წიგნი 6000 გვერდამდის (გამოცემის მე-7 წელიწადი) გაუგზავნელად ღირს 7 მან., გაგზავნით—8 მანეთი. საზღვარ-გარედ—11 მან. ფულის გადახდა ნაწილ ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—5 მანეთი, 20 მარტს—2 მან., 30 მაისს—2 მან., 20 აგვისტოს—1 მან. სოფლის მასწავლებლებს რედაქციასთან შეთანხმებით (სამკაპეიკიანი საპასუხო მარკის გამოგზავნით)—7 მან. გაგზავნით.

«ვესტნიკ ზნანიას» ხელის მომწერლები, რომელთაც ერთდროულად აქვთ შემოტანილი ჟურნალის ფასი და აგრეთვე ნაწილნაწილად შემომტანნი, როდესაც ცხენი სრულებით გადაიხდიან ფას, მიიღებენ: 1. უფასოდ ორ მანეთად ღირებულ წიგნებსა და სურათებს გამომცემლობის კატალოგით (გაგზავნა წლითაა): 2. 14 წიგნს «მუშების ბიბლიოთეკა», ვ. პოსესი. (3 მ. 20 კ. მაგიერ) ერთ მანეთად (გაგზავნა 59 კაპეიკ.). «ვესტნიკ ზნანია» 1908 წლისა ყველა დამატებით (48 წიგნი 7 მანეთად, ევროპიულ რუსეთში); 4. ჯ ა დ ო ფ ა ნ ა რ ი (ძლიერ კარგი) ფირფიტებით და ლამფით—5 მ. 50 კაპ. გაუგზავნელად ხელის მომწერლებს—4 მან., ყუთი 50 კაპ., გაგზავნა—1 მ. 95 კაპ. მანჯურიაში—2 მ. 15 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა ახალი ხელის მომწერლები მიიღებენ ყველა N N და წიგნებს. დაწვრილებით განცხადება და კატალოგი მსურველთ დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ.

ადრესი: Петербургъ, Невскій проспектъ, 147, Главная контора Издательства „Вѣстникъ Знанія". (1—1)

# I-ლი კავკასიის საფუტკრე
## ადოლფ დიუმასი,
ტფილისი, მიხეილის პროსპ., N 140.



სკები და მისი ნაწილები საკუთარ ელექტრო-ტეხნიკურ სახელოსნოში დამზადებული. ხელოვნური ფიჭი. მეფუტკრეობის იარაღი. თაფლის გამოსაწური, სანთლის გადამდნობი, შესტყრნები, ვალცები და სხვა. დარიგება ხელოვნურად დედა-ფუტკრების გასაშენებლად.

საგანგებო მომშენებელი კავკასიის წმინდა ჯილაგის დედა-ფუტკრებისა.

თაფლი საკუთარ საფუტკრისა. წიგნები და სახელ მძღვანელოები. სურათებიანი პრეისკურანტი უფასოდ. (10—ნახ.—2)

# პროვოდნიკის
ფაბრიჩ. კლეიმო Т-ВО Р.Р. ПРОВОДНИКЪ
# ამხანაგობა 1888
## რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**● იყიდება ნარდად და ცალობით: ●**

ლინოლეუმი, აფარები, კროფერიანი და უზორებიანი,
ასბესტის კარტონი,
ასბესტის და ტალკის ნაკეთი

# ახალი რამ:

„საუკეთო" ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მთელ მზარესაც გადის და რომელიც თეთრად ლინოლეუმსაც გაცვეთამდე არ იცვლება.

ლინკრუსტა (საკედლე ზოლები) წინარონის უზორებით, საუკეთო თვალისათვის და საუკეთო ეკონომიისთვის.

# ცალობით ვაჭრობა დიდ-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა